

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2010, № 12

სასარჩელო
წარმოება

1. დამატებითი გადაწყვეტილება (განჩინება)
2. გადაწყვეტილების განმარტება
3. საქმის წარმოების შეჩერება
4. დროებითი განჩინება

1. დამატებითი გადაწყვეტილება

განჩინება

188-04-04(კს-08)

3 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე

გასაჩივრებული განჩინება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ოქტომბრის განჩინება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

მ. პ-მემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 31 მაისისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 თებერვლის განჩინებებზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით მ. პ-მის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261.1. მუხლი და განმარტა, რომ 2007 წლის 17 იანვარს მ. პ-მის მიერ შეტანილი კერძო საჩივარი, რომლის განხილვასაც ითხოვდა განმცხადებელი, არ მოიპოვებოდა საქმეში და შესაბამისად არ წარმოადგენდა დავის საგანს. აღნიშნული კერძო საჩივარი იხილებოდა სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობის მიერ, ამიტომ სააპელაციო სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა იმ დავის საგანზე, რომელსაც სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობა იხილავდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. პ-მემ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის წარმოებაში მიღება შემდგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება გამოტანილია სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, რამდენადაც მოსარჩელემ სასამართლოსაგან მოითხოვა მ. პ-მის 2007 წლის 19 მარტისა და 2007 წლის 11 ოქტომბრის კერძო საჩივრების ერთ წარმოებად გაერთიანება. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 261.1. მუხლის მოთხოვნები. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს სსსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე უნდა მიეღო ახალი გადაწყვეტილება, რომელითაც შეცვლიდა სასამართლოს წინმსწრებ განჩინებებს.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სასამართლოს არ გამოუტანია განჩინება მისი წარმომადგენლის 2006 წლის 25 სექტემბრის განცხადებაზე ხარვეზის შევსების შესახებ, რის გამოც სსსკ-ის 183-ე მუხლის თანახმად მ. პ-მის სარჩელი ითვლება წარმოებაში მიღებულად. ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ გამოუტანია განჩინება კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის 2007 წლის 17 იანვრის განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულება და სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კერძო საჩივრის ავტორი ითხოვდა 2007 წლის 19 მარტის კერძო საჩივართან ერთად თავისი რწმუნებულის მიერ 2007 წლის 17 იანვარს წარდგენილი კერძო საჩივრის განხილვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის მოტივების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. პ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ოქტომბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სწორად იქნა გამოკვლეული საქმის მასალები, არ მომხდარა საპროცესო ნორმების დარღვევა, რის გამოც გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არ დარღვეულა სსსკ-ის 393.2. "ა" პუნქტისა და 394 "ე" მუხლების მოთხოვნები.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 თებერვლის განჩინებით მ. პ-ძის წარმომადგენელ ბ. ბ-შვილს უარი ეთქვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. პ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, რაც სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 31 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

საქმის მასალების მიხედვით, 2007 წლის 13 ივლისს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა მათა პატარაძემ, რომლითაც დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა მოითხოვა იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არ იმსჯელა მისი წარმომადგენლის 2007 წლის 17 იანვარს შეტანილ კერძო საჩივარზე.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნათა გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებები და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობაზე, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალური წინაპირობები, რამდენადაც 2007 წლის 17 იანვრის კერძო საჩივარი, რომლის განხილვასაც ითხოვდა მ. პ-ძე, სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობის მიერ იხილებოდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობის განსახილველი საქმის დავის საგანს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. დისპოზიციურობის პრინციპი ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია საპროცესო სამართალში, რაც ნების ავტონომიიდან გამომდინარეობს და თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მხარეები თავისუფალი არიან, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო შეზღუდულია დისპოზიციურობის პრინციპით, რის გამოც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით განმარტავს, რომ დისპოზიციურობის პრინციპი სამართალწარმოებაში ესაა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და მხარეთა გარანტირებული შესაძლებლობა, თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამასთან, დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა მხარეთა თავისუფალი ნება, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით სარჩელი აღძრან სასამართლოში. ამასთან, სასამართლო შეზღუდულია მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე იმსჯელოს იმ მოთხოვნებზე, რომელიც დავის საგანს არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ სასამართლოს არ გამოუტანია განჩინება მისი წარმომადგენლის 2006 წლის 25 სექტემბრის განცხადებაზე ხარვეზის შევსების შესახებ, რის გამოც სსსკ-ის 183-ე მუხლის თანახმად მ. პ-ძის სარჩელი ითვლება წარმოებაში მიღებულად. ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ გამოუტანია განჩინება კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის 2007 წლის 17 იანვრის განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად მ. პ-ძის წარმომადგენლის 2006 წლის 25 სექტემბრის განცხადებაზე ხარვეზის შევსების შესახებ, საქალაქო სასამართლომ 2006 წლის 29 სექტემბერს გამოიტანა განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო სარჩელის მიღებაზე უარი მოსარჩელეს ეთქვა იმ საფუძველით, რომ სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზი მხარეთა მიერ საპროცესო ვადაში არ იქნა შევსებული.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ სასამართლომ არ იმსჯელა 2007 წლის 17 იანვრის განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, რამდენადაც საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 თებერვლის განჩინებით საქალაქო სასამართლომ იმსჯელა მ. კ-ძის წარმომადგენლის განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე და განცხადება არ დააკმაყოფილა უსაფუძვლოების გამო. ამდენად, არ არსებობს კერძო საჩივრის მოტივების გაზიარების პროცესუალური და ფაქტობრივი საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ იმსჯელებდა იმ მოთხოვნებზე, რომელიც სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობის წარმოებაში მყოფ საქმეში წარმოადგენდა დავის საგანს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს ახალი გადაწყვეტილება მ. კ-ძის კერძო საჩივართან დაკავშირებით, ამასთან შევალოს მოცემულ საქმეში წინმსწრები განჩინებები, რამდენადაც საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია სააპელაციო სასამართლოს შემაჯამებელი (საბოლოო) გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების პირობებში სსსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე მაშინ, როცა კერძო საჩივრით კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს განჩინება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ, რომელზედაც ახალი გადაწყვეტილების მიღება საკასაციო სასამართლოს მიერ პროცესუალურად შეუძლებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. კ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რამდენადაც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 408.3, 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. კ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოების გამო;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილება

განჩინება

18ს-79-79 (კ-07)

2 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.10.07წ. განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. კ-ძემ სარჩელი აღძრა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში დაბა წყნეთის გამგეობის, ს. მ-შვილის, თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიმართ და მოითხოვა წყნეთის გამგეობის 13.06.02წ. 17.112.111 დადგენილების ბათილად ცნობა ს. მ-შვილისათვის დაბა წყნეთში, ე.წ. "... " მიმდებარე ტყის ტერიტორიაზე ბინათმშენებლობისათვის 12 ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე და ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ამ ნაკვეთის წითელი ხაზების და პროექტის ბათილად ცნობა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 27.02.04წ. გადაწყვეტიებით მ. კ-მეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 27.02.04წ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.10.07წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 27.02.04წ გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. კ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 13.06.02წ. ^{17.112/111} და 19.07.2002წ ^{19.127/111} დადგენილებები დაბა წყნეთში ... ქუჩა ¹³-ში მცხოვრები ს. მ-შვილისათვის ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის დაბა წყნეთში, ე.წ. "... " ტერიტორიაზე – ნაკვეთი ¹²-ის გამოყოფის ნაწილში და დაევალა ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობას (დაბა წყნეთის გამგეობის უფლებამონაცვლე) საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ს. მ-შვილმა, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 25.06.08წ. განჩინებით ს. მ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

დადგენილია, რომ ს. მ-შვილს საკასაციო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 25.06.08წ. განჩინებით ს. მ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, თუმცა სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება სასამართლო ხარჯების (სახელმწიფო ბაჟის) შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%, რაც შეადგენს 210 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით და 401-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. მ-შვილს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% 210 ლარის ოდენობით;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილება

გადაწყვეტილება

1ბს-616-588(კ-08)

8 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

უეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "...-მა" სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხის მიერ 2007 წლის 24 იანვარს შედგენილი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის, შპს "...-ის" 44649 ლარით დაჯარიმების თაობაზე 2007 წლის 16 თებერვალს მიღებული 1678 ბრძანების და 2007 წლის 26 თებერვალს შედგენილი 1109 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "...-ის" სარჩელი დაკმაყოფილდა.

ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 24 იანვარს შედგენილი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი 1ს-00111, 2007 წლის 16 თებერვლის 1678 ბრძანება შპს "...-ისათვის" სანქციის დაკისრებაზე, 2007 წლის 26 თებერვლის საგადასახადო მოთხოვნა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ შპს "...-ის" საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე 2007 წლის 28 მაისს მიღებული 14623 ბრძანება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს "...-ის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს "...-ის" წარმომადგენელმა, რომელმაც მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს "...-ის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 24 იანვრის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი 1ს-00111, 2007 წლის 16 თებერვლის 1678 ბრძანება შპს "...-ის" სანქციის დაკისრების თაობაზე, ასევე 2007 წლის 26 თებერვლის 1109 საგადასახადო მოთხოვნა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ შპს "...-ის" საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე 2007 წლის 28 მაისს მიღებული 14623 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალებათ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ანდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ჩაბარებიდან ერთ თვეში შპს "...-ის" მიმართ;

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ საქმეზე 1ბს-616-588(კ-08) შპს "...-ის" საკასაციო საჩივრისა გამო მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური

ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) მიღებულ უნდა იქნეს დამატებითი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შპს "...-ის" წარმომადგენელმა მის მიერ წარმოდგენილ საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს "...-ის" საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 24 იანვრის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი №ს-00111, 2007 წლის 16 თებერვლის №1678 ბრძანება შპს "...-ის" სანქციის დაკისრების თაობაზე, ასევე 2007 წლის 26 თებერვლის №109 საგადასახადო მოთხოვნა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ შპს "...-ის" საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე 2007 წლის 28 მაისს მიღებული №14623 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალით საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ანდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ჩაბარებიდან ერთ თვეში შპს "...-ის" მიმართ; ხოლო რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას გასაჩივრებული სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის და ახალი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება არ გამოიტანა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოტანილ უნდა იქნეს დამატებითი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით. ამ ნორმის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა. დამატებითი გადაწყვეტილების თანახმად მოცემულ საქმეზე უნდა გააუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება და შპს "...-ის" სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
2. შპს "...-ის" სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. საკასაციო სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი განჩინება

განჩინება

1ბს-1167-1129 (კ-08) 11 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ნ. ქადაგიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებაზე დამატებითი განჩინების გამოტანის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 13 აგვისტოს ნ. ლ-შვილმა, ც., თ. და ო. ქ-ლებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების _ მ. კ-ძის, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის მიმართ და მოითხოვეს არსებული პროექტის მიხედვით მშენებლობის წარმოების მოპასუხისთვის აკრძალვა და ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2000 წლის 26 სექტემბრის 1375 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის 2002 წლის 25 მაისის მშენებლობის დაწყების ნებართვის ბათილად ცნობა, აგრეთვე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული ბრძანებისა და ნებართვის მოქმედების შეჩერება და მოპასუხე მ. კ-ძისათვის დავის გადაწყვეტამდე მშენებლობის წარმოების აკრძალვა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდებოდა გადაწყვეტილების აღსრულება.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 20 ნოემბრის განჩინებით კ. ქ-ულის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო, მის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ლ-შვილს, ც. და თ. ქ-ლებს უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ნ. ლ-შვილმა და ც. ქ-ულმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 25 თებერვლის განჩინებით ნ. ლ-შვილისა და ც. ქ-ულის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ლ-შვილმა და ც. ქ-ულმა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისთვის დაბრუნება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით ნ. ლ-შვილისა და ც. ქ-ულის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელებს უარი ეთქვათ მოპასუხე მ. კ-ძისათვის მშენებლობის წარმოების აკრძალვის თაობაზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება გაუქმდა და მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ლ-შვილისა და ც. ქ-ულის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება ნ. ლ-შვილმა და ც. ქ-ულმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისთვის დაბრუნება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ნ. ლ-შვილისა და ც. ქ-ულის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინება ნ. ლ-შვილსა და ც. ქ-ულს ჩაჰბარდათ 2009 წლის 10 იანვარს.

2009 წლის 16 იანვარს ნ. ლ-შვილმა და ც. ქ-ულმა განცხადებით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და დამატებითი განჩინების გამოტანა მოითხოვეს მათ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის დაბრუნების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ლ-შვილისა და ც. ქ-ულის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ნ. ლ-შვილსა და ც. ქ-ულს საკასაციო საჩივარზე გადახდილი აქვთ სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ნ. ლ-შვილისა და ც. ქ-ულის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, თუმცა საკასაციო სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება სასამართლო ხარჯების (სახელმწიფო ბაჟის) შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ლ-შვილსა და ც. ქ-ულს უნდა დაუბრუნდეთ მათ მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით და 401-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ლ-შვილსა და ც. ქ-ულს დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის 70% – 210 ლარი;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი განჩინება

განჩინება

1ბს-1454-1412(კ-08) 11 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 04.03.09წ. განჩინებაზე დამატებითი განჩინების გამოტანის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "ს. პ-მა" 18.03.05წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე საქართველოს ტელერადიო კორპორაციის მიმართ. მოსარჩელემ ძირითადი დავალიანების – 17002,74 ლარის, მასზე დარიცხული პროცენტის – 13704,48 ლარის, სახელმწიფო ბაჟისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 02.12.05წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე სსიპ "ს. მ-ს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის დავალიანების – 17002.74 ლარის, ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის – 600 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 425.06 ლარის გადახდა. მოსარჩელე შპს "ს. პ-ს" უარი ეთქვა პირგასამტეხლოს – 13704.48 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ "ს. მ-მა".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08წ. განჩინებით სსიპ "ს. მ-ის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 02.12.05წ. გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ "ს. მ-მა". კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისთვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 04.03.09წ. განჩინებით სსიპ "ს. მ-ის" საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

დადგენილია, რომ სსიპ "ს. მ-ს" საკასაციო საჩივარზე 24.10.08წ. გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი – 901 ლარი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 04.03.09წ. განჩინებით სსიპ "ს. მ-ის" საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, თუმცა სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება სასამართლო ხარჯების (სახელმწიფო ბაჟის) შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%, რაც შეადგენს 630,70 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით და 401-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. კასატორს – სსიპ "ს. მ-ს" დაუბრუნდეს მის მიერ 24.10.08წ. 1965 საგადასახადო დავალებით (საიდენტიფიკაციო კოდი 204858163) გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% – 630,70 ლარის ოდენობით;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილება

განჩინება

1ბს-896-858(3კ-კს-09) 1 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 6 აგვისტოს რ. ბ-მემ სარჩელით მიმართა წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების წყალტუბოს რაიონის ტერიტორიული ორგანოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურისა და ფ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების წყალტუბოს რაიონის ტერიტორიული ორგანოს მიერ ფ. მ-შვილისათვის წყალტუბოს რაიონის სოფ. ... მდებარე 6 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიყიდვის შესახებ 2006 წლის 18 იანვრის¹² ოქმისა და მის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურში 21900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ფ. მ-შვილის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ არსებული ჩანაწერების ბათილად ცნობა.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის საოქმო განჩინებით არასათანადო მოპასუხე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის წყალტუბოს რაიონის ტერიტორიული ორგანო შეიცვალა სათანადო მოპასუხით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოთი.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება მ. ქ-ია.

2008 წლის 14 ნოემბერს რ. ბ-მემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა წყალტუბოს რაიონის გამგეობის 2000 წლის 28 მარტის¹⁵ დადგენილების, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი რაიონული კომისიის 2000 წლის 2 მარტის¹¹ ოქმის, ფ. მ-შვილსა და წყალტუბოს რაიონის გამგეობას შორის 2001 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული მიწის იჯარის ხელშეკრულების, ფ. მ-შვილსა და მ. ქ-იას შორის 2008 წლის 21 ივლისს დადებული მიწის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე მ. ქ-იას საკუთრების უფლების შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 ნოემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელე რ. ბ-მის მოთხოვნა მოპასუხე ფ. მ-შვილსა და მესამე პირ რ. ქ-ას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და მის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურში არსებული ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და დადგინდა მისი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა.

2008 წლის 10 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა კვლავ დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა სადავო აქტების ბათილად ცნობა მხოლოდ მოსარჩელის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში, რომელზეც აშენებული აქვს კაპიტალური ნაგებობა ზომით 4X5.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ბ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი ა) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისიის 2000 წლის 2 მარტის¹¹ სხდომის ოქმი ფ. მ-შვილისათვის საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ

წყალტუბოს რაიონ სოფ. ... სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში; ბ) წყალტუბოს რაიონის გამგეობის 2000 წლის 28 მარტის ¹15 დადგენილება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფ. მ-შვილზე იჯარით გაცემის შესახებ სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში; გ) ფ. მ-შვილსა და წყალტუბოს რაიონის გამგეობას შორის 2001 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში; დ) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების წყალტუბოს რაიონის ტერიტორიული ორგანოს 2006 წლის 18 იანვრის მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ¹2 ოქმი, ფ. მ-შვილისათვის წყალტუბოს რაიონ სოფ. ... მდებარე სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის შეძენის ნაწილში; არ დაკმაყოფილდა რ. ბ-ძის მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების წყალტუბოს რაიონის ტერიტორიული ორგანოს 2006 წლის 18 იანვრის მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ¹2 ოქმის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურში ფ. მ-შვილის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერის გაუქმების შესახებ, სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა რ. ბ-მემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაქა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველომ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა სრულად.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით ასევე გაასაჩივრა ფ. მ-შვილმა, რომელიც სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით რ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და მისი შეცვლით ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; რ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერი სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფ. მ-შვილის საკუთრებად აღრიცხვის თაობაზე; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაქა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ფ. მ-შვილის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

2007 წლის 27 აპრილს რ. ბ-ძის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომელშიც მიუთითებდა, რომ რაიონული და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებით რ. ბ-ძის სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა მთლიანად. რ. ბ-ძის მიერ წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ნაწილშიც. იგივე მოთხოვნა იყო დაყენებული სააპელაციო სასამართლოს სხდომაზეც, მაგრამ იმის გამო, რომ რ. ბ-ძის სააპელაციო საჩივრის გრაფაში "აპელანტის მოთხოვნა" არ იყო დაფიქსირებული წყალტუბოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა აღნიშნულის თაობაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" პუნქტის საფუძველზე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ნაწილში დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით რ. ბ-ძის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261,2 მუხლით დადგენილი ვადის გასვლის გამო.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. ბ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განჩინების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნებას იმ მოტივით, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261.2 მუხლით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანისათვის

დადგენილი 7-დღიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს მხარისათვის დასაბუთებული განჩინების ჩაბარების მომენტიდან და არა მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ბ-მის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ შეიცავს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე შესაბამის რეგულაციებს. ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამოტან სსსამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტება, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სსსამართლომ, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითა გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სსსამართლოს არ გადაუწყვიტა სსსამართლო ხარჯების საკითხი.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს მხარის უფლებას, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით, სსსამართლოსაგან მოითხოვოს პასუხი ისეთ მოთხოვნებზე, რომელიც წარმოადგენდა მსჯელობისა და განხილვის საგანს, მაგრამ სსსამართლოს აღნიშნული დარჩა მხედველობის მიღმა და გადაწყვეტილება ამ კონკრეტული საკითხის თაობაზე არ მიუღია.

აქვე საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას, მსგავსად სხვა საპროცესო მოქმედებებისა, გააჩნია საპროცესო ვადა, რომლის განმავლობაშიც კანონმდებელი იძლევა მითითებული რეგულაციის გამოყენების შესაძლებლობას.

იმვე საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოტანიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება.

მითითებული მუხლის მოთხოვნა გაგებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ გადაწყვეტილების გამოტანას ესწრებოდნენ მხარეები. წინამდებარე შემთხვევაში უდავოდაა დადგენილი, რომ გადაწყვეტილების გამოტანას ესწრებოდნენ მხარეები, მათ შორის, კერძო საჩივრის ავტორი, მას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ჩაჰბარდა 2009 წლის 8 აპრილს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კანონმდებელი ვადის ათვლას უკავშირებს დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ფაქტს. აღნიშნული თაობაზე საკასაციო სასამართლო განმარტავს შემდეგს: დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით მიმართვის 7-დღიანი ვადის ათვლა უკავშირდება მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ესწრებოდა გადაწყვეტილების გამოტანის მომენტს და მისთვის უცნობია გადაწყვეტილების შინაარსი. თუმცა საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს იმ გარემოებაზე მითითებას, რომ 7-დღიანი ვადის გაშვება არ ნიშნავს იმას, რომ მხარეს ესპობა შესაძლებლობა, მისი მოთხოვნა განხილული იყოს სრული მოცულობით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, ასეთ პირობებში მხარე უფლებამოსილია, ძირითადი გადაწყვეტილება გაასაჩივროს ზემოაღნიშნული მოტივით და მოითხოვოს საქმის სრული მოცულობით განხილვა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კერძო საჩივარს და თვლის, რომ არ არსებობს მისი დაკმაყოფილების პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. რ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილება

განჩინება

18ს-1269-1213(კს-09) 18 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: დამატებითი გადაწყვეტილების მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 26 ნოემბერს ი/მ "ზ. გ-შვილმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 29 ოქტომბრის 1ს/დ-665-ფ საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობას, მის საფუძველზე გადასახდელად დარიცხული 15000 ლარის გაუქმებასა და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესვლის თარიღისათვის დარიცხული საურავების მოხსნას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივნისის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, ხოლო ამავე სასამართლოს 2008 წლის 6 თებერვლის საოქმო განჩინებით – შპს "....".

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით ინდემწარმე "ზ. გ-შვილის" სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 29 ოქტომბრის 1ს/დ-665-ფ საგადასახადო მოთხოვნა და მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) დაევალა, შესაბამისი გარემოებების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონით დადგენილ ვადაში.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ).

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება.

2008 წლის 1 ოქტომბერს ი/მ "ზ. გ-შვილის" წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" და "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღება იმ მოტივით, რომ სასამართლოს არ გამოუტანია გადაწყვეტილება საადვოკატო ხარჯების – 800 ლარის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინებით ი/მ "ზ. გ-შვილის" ინტერეების დამცველი ადვოკატის დ. ე-ძის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა მოთხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნების გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარმოადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობაზე, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისი, რის გამოც სააპელაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საადვოკატო ხარჯების ანაზღაურებაზე.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი/მ "ზ. გ-შვილმა".

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინების გაუქმებასა და მოწინააღმდეგე მხარისათვის საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების დაკისრებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინებით ი/მ "ზ. გ-შვილის" ადვოკატის დ. ე-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინება და დ. ე-ძის განცხადება განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განჩინებით ი/მ "ზ. გ-შვილის" ადვოკატის დ. ე-ძის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) ი/მ "ზ. გ-შვილის" სასარგებლოდ დაეკისრა 650 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა მოთხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნების გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარმოადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობაზე, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლოს ხარჯების საკითხი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ მიღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება იმ სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს ეთქვა უარი. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს, ამ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოიწვიოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, თუ განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გამო ადვოკატის მონაწილეობა ამ საქმის განხილვაში მიზანშეწონილია. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დავის საგნის ღირებულების 4%-მდე. არაქონებრივი დავის დროს განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2000 ლარამდე.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა.

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივარში მიუთითებდა, რომ მოსარჩელს თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოთხოვნა საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე არ დაუყენებია და ბუნებრივია აღნიშნულ მოთხოვნაზე საქალაქო სასამართლო ვერ იმსჯელებდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის შესაბამისად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე, შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ამომგებს გადაწყვეტლებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე კოდექსის 384-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპიდან გამომდინარე დაუშვებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განჩინების გაუქმებასა და ი/მ "ზ. გ-შვილის" ადვოკატ – დ. ე-ძისათვის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ შეიცავს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე შესაბამის ნორმებს, ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტება, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლომ, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითა გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს მხარის უფლებას, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სასამართლოსაგან მოითხოვოს პასუხი ისეთ მოთხოვნებზე, რომელიც წარმოადგენდა მსჯელობისა და განხილვის საგანს, მაგრამ სასამართლოს აღნიშნული დარჩა მხედველობის მიღმა და გადაწყვეტილება ამ კონკრეტული საკითხის თაობაზე არ მიუღია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის თაობაზე და თვლის, რომ დამატებითი გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლო მოქმედებდა მხარის მოთხოვნის ფარგლებში.

ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოში ი/მ "ზ. გ-შვილის" მიერ წარდგენილ შესაგებელს, რომლის საფუძველზეც მხარე ითხოვდა, აპელანტების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრისათვის დაკისრებას მის მიერ საადვოკატო მომსახურებაზე გაწეული ხარჯების.

საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ სასამართლო ხარჯი არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ ხარჯით, რომელიც მხარემ გასწია პირველი ინსტანციის სასამართლოში. უფრო მეტიც, შესაძლოა ასეთი ხარჯი პირველი ინსტანციის სასამართლოში საერთოდ არ იყოს გაწეული, რაც ამ ინსტანციაში მხარეს ართმევს ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას, ხოლო პროცესის მის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში ზემდგომ ინსტანციებში გაწეული ხარჯის ანაზღა-

ურების მოთხოვნის ერთადერთ მექანიზმად რჩება შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე, გაწეული ხარჯების პროცესუალური მოწინააღმდეგისათვის დაკისრები თაობაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ კერძო საჩივრის ავტორი ვერ უარყოფს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული დამატებითი გადაწყვეტილებით მოხდა სწორედ ამ სასამართლოში გაწეული საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნას და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 261-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილება

განჩინება

1ბს-380-365 (კ-09) 19 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს აჭარის ა.რ. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-ის" განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ოქტომბრის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. გ-მემ 2007 წელს სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების ქ. ბათუმის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის, ამხანაგობა "...-სა" და შპს "...-ის" მიმართ და მოითხოვა ქ. ბათუმის მერიის 2006 წლის 6 დეკემბრის 1257/06 მშენებლობის ნებართვისა და მასთან დაკავშირებული ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; მოპასუხეთათვის სოლიდარულად მატერიალური ზიანის სახით 200 000 აშშ დოლარის დაკისრება; საცხოვრებელი ფართის იპოთეკის ხელშეკრულებით სარგებლობით აღიარებისათვის ბანკებიდან გამოტანილი სესხის პროცენტის გადახდა ყოველთვიურად 438,41 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით მოსარჩელის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებამდე; მიუღებელი შემოსავლის სახით 72 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა და სახლის პერსპექტიული განვითარების დაკარგვისათვის 100 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით ჯ. გ-მეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა და ამხანაგობა "...-ს" მიერ სს "...-ის" ბათუმის ფილიალში სანოტარო დეპოზიტზე დადებული 15 000 ლარი დაუბრუნდა შემტანს უკან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ჯ. გ-მემ, მ. კ-მემ და დ. კ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჯ. გ-ძის, მ. კ-ძისა და დ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება; მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება – ჯ. გ-ძის, მ. კ-ძისა და დ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება; ანხანაგობა "...-ს" უკან დაუბრუნდა მის მიერ სს "...-ის" ბათუმის ფილიალში სანოტარო დეპოზიტზე დადებული 15 000 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ჯ. გ-ძემ, მ. კ-ძემ და დ. კ-ძემ და მოითხოვეს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით ჯ. გ-ძის, მურმან და დ. კ-ძეების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ამხანაგობა "...-ის" თავმჯდომარემ 2009 წლის 27 ოქტომბერს განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მიუთითა, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე საკასაციო პალატას განცხადებით მიმართა და მოითხოვა, რომ საჩივრის დაუშვებლობის შემთხვევაში სასამართლოს გადაეწყვიტა ხარჯების საკითხი, კერძოდ, კასატორისათვის დაეკისრებინა ადვოკატისათვის გადასახდელი თანხა, დავის საგნის 4%-ის ოდენობით – 16 000 აშშ დოლარი. ამიტომ განმცხადებელმა მოითხოვა აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, ამხანაგობა "...-ის" განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ამხანაგობა "...-ს" უარი უნდა ეთქვას დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ამხანაგობა "...-ის" თავმჯდომარემ 2009 წლის 22 მაისს განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაუშვებლობის შემთხვევაში ადვოკატ თ. ც-ძისათვის გადასახდელი საადვოკატო მომსახურების თანხის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების საკითხის გადაწყვეტა, რომელიც შეადგენს საპროცესო კოდექსით დადგენილი სადავო თანხის – 372 000 აშშ დოლარის 4%-ს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელს აღნიშნული მოთხოვნით საკასაციო პალატაში არც საკასაციო საჩივარი და არც შეგებებული საკასაციო საჩივარი არ წარმოუდგენია, ასევე, არ აღუძრავს აღნიშნული შუამდგომლობა საკასაციო სასამართლოს სხდომებზეც, ამიტომ საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც ამხანაგობა "...-ს" არ უსარგებლია კანონით მინიჭებული საპროცესო საშუალებებით სამოქალაქო პროცესის დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 ოქტომბრის საბოლოო განჩინების მიღების შემდგომ იმსჯელოს მოცემულ შუამდგომლობაზე, მით უფრო მაშინ, როდესაც ამხანაგობა "...-ის" წარმომადგენელი მხოლოდ საკასაციო საჩივრის დაუშვებლობის შემთხვევაში ითხოვდა ადვოკატ თ. ც-ძისათვის გადასაცემი საადვოკატო მომსახურების თანხის მოწინააღმდეგე მხარეებისათვის დაკისრებას, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ ამხანაგობა "...-ს" უარი უნდა ეთქვას დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე, ვინაიდან იგი არ აკმაყოფილებს სსკ-ის 261-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 261-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. უარი ეთქვას საქართველოს აჭარის ა/რ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-ს" დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილება

განჩინება

1ბს-847-811 (3კ-09) 8 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს "...-ის" წარმომადგენლის _ ს. მ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 24.11.09 წლის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "...-ამ" სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების _ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მიმართ.

მოსარჩელე ითხოვდა მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 24 ოქტომბრის 1887 და 1888 საგადასახადო მოთხოვნების, 2007 წლის 19 ოქტომბრის 1508 და 1509 ბრძანებების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 12 დეკემბრის 17893 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განმხილველი საბჭოს 2008 წლის 18 იანვრის 105-04/496 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით შპს "...-ის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის სადავო აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმის გარემოებების გამოცემისა და შეფასების შედეგად, ახალი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა და მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება.

2009 წლის 30 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა შპს "...-ის" წარმომადგენელმა _ ს. მ-ძემ და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა მოითხოვა. განცხადების ავტორი აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებენ, რომ შპს "...-ის" მიერ საქმის სასამართლოში წარმოებისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილ იქნა სარჩელის აღძვრისას _ 1480,14 ლარი და სააპელაციო საჩივრის წარდგენისას _ 1973,52 ლარი. ვინაიდან საქართველოს უზენაესი

სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას მითითება არ ყოფილა სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, განმცხადებელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი ნაწილის, 249-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ითხოვს, საქმეზე მიღებულ იქნეს დამატებითი გადაწყვეტილება (განჩინება) სასამართლო ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

სსსკ-ის 261-ე მუხლი განსაზღვრავს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება არ შეიცავს პასუხს მხარის ისეთი მოთხოვნის მიმართ, რომელიც წარმოადგენდა განხილვის საგანს, თუ სასამართლომ გადაწყვიტა უფლების საკითხი, მაგრამ არ მიუთითა გადასახდელი თანხის ოდენობაზე, ან გადაწყვეტილება არ შეიცავს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე.

განმცხადებელი ითხოვს დამატებითი გადაწყვეტილების მიღებით მის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯის – გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მოპასუხე მხარისათვის მის სასარგებლოდ გადახდის დაკისრებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ – შპს "...-ამ" სარჩელის აღძვრისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 1480,14 ლარი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი და მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩა სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად. შპს "...-ამ" სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 1973,52 ლარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2009 წლის 26 თებერვალს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიიღო რა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე არ უმსჯელია.

დადგენილია, რომ შპს "...-ას" თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით არ გაუსაჩივრებია და არც შუამდგომლობით მიუმართავს საკასაციო პალატისათვის საქმის ზეპირი განხილვის დროს. მას ასევე სააპელაციო სასამართლოს წინაშე არ დაუყენებია საკითხი, რომ დამატებითი გადაწყვეტილებით მის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯები დაკისრებოდა მოპასუხე მხარეს. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი დადგა მხოლოდ საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შემდეგ.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს განმცხადებლის მიერ დაყენებული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მითითებას, ვინაიდან აღნიშნული ნორმა ზოგადად განსაზღვრავს პროცესის ხარჯების დაკისრებას ადმინისტრაციული ორგანოსთვის, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მისი მატერიალური კანონიერების მიუხედავად, გამოცემულია საქმის გარემოებათა სათანადო გამოკვლევის გარეშე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ აკონკრეტებს საპროცესო ხარჯების ანაზღაურების წესს. ამ შემთხვევაში, ამავე კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკითხის გადასაწყვეტად გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს სასამართლო ხარჯების განაწილების ზოგად წესს, ხოლო მე-2-მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულია მათი გამოყენება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისას. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. საკასაციო პალატის მიერ განხილულ იქნა რა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექციის საკასაციო საჩივრები, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პალატამ იმსჯელა მხოლოდ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობაზე ისე, რომ მას საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება არ შეუცვლია და არც თავად მიუღია ახალი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა.

უდავოა, რომ სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი საქმის საკასაციო წესით განხილვისას დავის საგანს არ წარმოადგენდა. კასატორები გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას სადავოდ ხდიდნენ მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობასთან მიმართებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამდენად, საკასაციო პალატა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების ფარგლებში საქმის განხილვისას, მოკლებული იყო შესაძლებლობას, გადაეწყვიტა სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

ამდენად, პროცესის ხარჯები მაშინ, როდესაც საკასაციო დავის საგანს არ წარმოადგენდა, ვერ გახდებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსჯელობის საგანი, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს "...-ის" წარმომადგენელს _ ს. მ-მეს უარი უნდა ეთქვას დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე, ვინაიდან იგი არ აკმაყოფილებს სსკ-ის 261-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 261-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "...-ის" წარმომადგენელს _ ს. მ-მეს უარი ეთქვას დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

1ბს-261-247(კ-07)

31 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ნ. სხირტლაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის 1ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს "...-ის" მიმართ. აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მოითხოვა შპს "...-ის" კუთვნილი ქონების ღია აუქციონის წესით რეალიზაციის უფლება.

შპს "...-მა" თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში წარადგინა შეგებებული სარჩელი მოპასუხეების _ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მიმართ.

შეგებებული სარჩელის ავტორმა მოითხოვა მის მიერ 1999-2000 წლებში მატერიალური ფასეულობების შეძენაზე გადახდილი დღგ-ს _ 162869,2 ლარის ჩათვლა, დარიცხული საურავის _ 190695,48 ლარის გაუქმება, აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2004 წლის 3 ივნისის 128/06-06/1/10 და 2004 წლის 1 ივლისის 128/1132 შეტყობინებების ბათილად ცნობა.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით აქციზის გადასახადო ინსპექციის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; შპს "...-ის" შეგებულ სარჩელი დაკმაყოფილდა; წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე გადახდილად იქნა ჩათვლილი შპს "...-ის" მიერ 1999-2000 წლებში შეძენილ საქონელზე დამატებული ღირებულების გადასახადის სახით გადახდილი თანხა, რაც ურთიერთმოთხოვნათა არსებობის გამო გაიქვითა; ბათილად იქნა ცნობილი აქციზის გადასახადო ინსპექციის 2004 წლის 3 ივნისის 128/06-06/1/10 და 2004 წლის 1 ივლისის 128/1132 შეტყობინებების სახით გამოცემული ადმინისტრაციული აქტები საგადასახადო გირავნობის უფლების წარმოშობისა და ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადასახადო ინსპექციამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შპს "...-ისთვის" შეგებულ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო სარჩელის _ დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აქციზის გადასახადო ინსპექციის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც აქციზის გადასახადო ინსპექციის სარჩელი დაკმაყოფილდა; აქციზის გადასახადო ინსპექციას ნება დაერთო მოეხდინა შპს "...-ის" კუთვნილი, ყადაღადადებული ქონების ღირებულების რეალიზაცია; შპს "...-ის" შეგებულ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "...-მა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შეგებულ სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე, უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში მოწინააღმდეგე მხარის _ აქციზის გადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს "...-ის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა _ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; შპს "...-ის" შეგებულ სარჩელი დაკმაყოფილდა; შპს "ციტადელს" ჩაეთვალა მის მიერ გადახდილი დღგ 162869,20 ლარის ოდენობით და გაუქმდა აღნიშნულ დღგ-ზე დარიცხული საურავი 190695,48 ლარის ოდენობით; ბათილად იქნა ცნობილი აქციზის გადასახადო ინსპექციის 2004 წლის 3 ივნისის 128/06-06/1/10 და 2004 წლის 1 ივლისის 128/1132 შეტყობინებები.

2007 წლის 14 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციამ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და ამავე პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის 128-261-247(კ-07) გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

განმცხადებელი ითხოვს განმარტებას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა აღსრულდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის 128-261-247(კ-07) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი, კერძოდ, რა ვადით უნდა მოხდეს მასში აღნიშნული თანხების ასახვა ბარათზე, ვინაიდან დღგ-ს ბარათზე არ ფიქსირდება ასეთი დავალიანება (2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დღგ-ს ბარათზე: ძირითადი დავალიანება _ 1949,71 ლარი, საურავი _ 402,59 ლარი; 2004 წლის 3 ივნისის მდგომარეობით: ძირითადი დავალიანება _ 87790,4 ლარი, საურავი _ 90565,20 ლარი). ზემოხსენებულ გადასახადის გადახდელს ამ საგადასახადო ინსპექციაში არ წარუდგენია აღნიშნული გადაწყვეტილებით აღდგენილი ანგარიშ-ფაქტურები და შესაბამისი დეკლარაციები ჩათვლაზე და აქედან გამომდინარე, არც ჩათვლა მიუღია და ბუნებრივია, არც ჩათვლების გაუქმება მომხდარა, რის გამოც შეუძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის 128-261-247(კ-07) გადაწყვეტილების აღსრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის ¹ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების შესახებ აღნიშნული კოდექსით სხვა წესი არ არის დადგენილი, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების აუცილებელი წინაპირობაა ის, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა იყოს ბუნდოვანი, ხოლო თუ იგი არ არის ბუნდოვანი, სასამართლო არ არის უფლებამოსილი განმარტოს გადაწყვეტილება. გარდა ამისა, გადაწყვეტილების განმარტებამ არ უნდა გამოიწვიოს მისი შინაარსის შეცვლა, ანუ განმცხადებელმა არ უნდა მოითხოვოს ისეთ საკითხზე განმარტების მიცემა, რაც გამოიწვევს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეცვლას.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის ¹ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი არ არის ბუნდოვანი, იგი კონკრეტულად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული. ამასთან, იმ საკითხზე განმარტების მიცემა, რასაც ითხოვს განმცხადებელი, გამოიწვევს აღნიშნული სარეზოლუციო ნაწილის შეცვლას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის ¹ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის ¹ბს-261-247(კ-07) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

1ბს-55-55(კს-08)

12 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბ. ბ-ძის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.07წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ბ-ძემ 17.05.05წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიმართ აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს 31.12.04წ. 1280 კ/ს ბრძანების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და ფულადი კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.06.05წ. გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ბ. ბ-ძის სასარჩელო განცხადება – ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს 31.12.04წ. 1280 ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის ნაწილში; მოპასუხეს დაევალა აღდგინა ბ. ბ-ძე შს სამმართველოს სისტემაში გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე; მოსარჩელეს უარი ეთქვა ფულადი კომპენსაციის ანაზღაურებაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 11.07.05წ. განჩინებით ბ. ბ-ძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა – დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეულ იქნა ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.06.05წ. გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენის ნაწილში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.06.05წ. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს აჭარის ა/რ შს სამმართველომ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სამუშაოზე აღდგენის ნაწილში და ბ. ბ-ძემ, რომელმაც შეგებებული სააპელაციო საჩივრით მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც მას უარი ეთქვა 13 თვის ფულად ანაზღაურებაზე.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.10.05წ. გადაწყვეტილებით აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: ბ. ბ-ძის შეგებებული სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.06.05წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. ბ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.10.05წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. ბ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და თავისი სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 09.03.06წ. განჩინებით უარი ეთქვა ბ. ბ-ძეს საკასაციო საჩივრის განხილვის დასაშვებობაზე.

ბ. ბ-ძემ 07.08.07წ. განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.10.05წ. გადაწყვეტილებაში მითითებული ფორმულირების: "ბ. ბ-ძის სარჩელის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო" განმარტება მოითხოვა. ბ. ბ-ძემ მოითხოვა იმის განმარტებაც ითვლება თუ არა გაუქმებულად ბათუმის საქალაქო სასამართლოს 11.07.05წ. განჩინება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.07წ. განჩინებით ბ. ბ-ძის განცხადება აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.10.05წ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262.1 მუხლით გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუ-

ციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. განსახილველ შემთხვევაში პალატამ მიიჩნია, რომ 10.10.05წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი. მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი უსაფუძვლოდ და ხანდაზმულობის გამო, რისი დასაბუთებაც ასახულია ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, სარეზოლუციო ნაწილი კი დამატებით განმარტებას არ საჭიროებს. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს აჭარის უმაღლესი სასამართლოს 10.10.05წ. გადაწყვეტილების განმარტების პროცესუალური აუცილებლობა, ხოლო, რაც შეეხება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 11.07.05წ. განჩინებას, პალატამ აღნიშნა, რომ მითითებულ განჩინებაზე არ უმსჯელია აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული განჩინება მიღებულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ არის უფლებამოსილი, განმარტოს იგი.

ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.07წ. განჩინება 09.01.08წ. კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბ. ბ-მემ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და განმარტების გაცემა მოითხოვა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 10.10.05წ. გადაწყვეტილებაში მითითებულ ფორმულირებაზე: "ბ. ბ-მის სარჩელის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ და ხანდაზმულობის გამო". კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს განმარტებას იმისას თუ რა იგულისხმება უსაფუძვლოდ და ხანდაზმულობაში და არის თუ არა კანონიერ ძალაში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 11.07.05წ. განჩინება, რომელიც არ გასაჩივრებულა.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ გადაწყვეტილება, რომლის განმარტებასაც იგი ითხოვდა, შესაძლოა სასამართლოსთვის არ არის ბუნდოვანი, მაგრამ მისთვის ის ბუნდოვანი და გაუგებარია. საინტერესოა, რა კრიტერიუმით ისარგებლა სააპელაციო სასამართლომ და როგორ დაადგინა, რომ გადაწყვეტილება ბ. ბ-მისათვის ბუნდოვანი და გაუგებარი არ არის. ამასთან, განმარტების მისაღებად "პროცესუალურ აუცილებლობას" კანონი არ ითვალისწინებს, ეს მხარის უფლებაა და ამ უფლებას მხარის სურვილი განაპირობებს. კერძო საჩივრის ავტორისათვის აგრეთვე გაუგებარია თუ რომელ ვადაზე მიუთითებს სააპელაციო სასამართლო, არ არის მითითებული ნორმა, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო განმცხადებლისათვის განმარტებაზე უარის თქმის დროს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. ბ. ბ-მის მოსაზრებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.03.06წ. მისი საკასაციო საჩივარი დასაშვებად რომ ეცნო, დღეისათვის ყველა ის გაურკვევლობა, რომელიც არსებობდა 10.10.05წ. გადაწყვეტილებაში გარკვეული იქნებოდა და აღარ მოუწევდა სხვადასხვა ინსტანციაში სიარული და ერთსა და იმავე საკითხზე სასამართლოებისათვის მიმართვა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ თავის განჩინებაში ასევე მიუთითა, რომ, რადგან ბათუმის საქალაქო სასამართლოს 11.07.05წ. განჩინებაზე არ უმსჯელია აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 10.10.05წ. გადაწყვეტილებაში, განმარტებისათვის უნდა მიემართა ბათუმის საქალაქო სასამართლოსთვის მაშინ, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, საქმეზე მიიღო აჭარის უმაღლესმა სასამართლომ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ბ-მის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.07წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.07წ. განჩინებით ბ. ბ-მეს უარი ეთქვა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.10.05წ. გადაწყვეტილების განმარტებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით, აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: ბ. ბ-მის შეგებებული სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.06.05წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ბ. ბ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ და ხანდაზმულობის გამო. ბ. ბ-მე 07.08.07წ. განცხადებით ითხოვდა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.10.05წ. გადაწყვეტილებაში მითითებული ფორმულირების: "ბ. ბ-მის სარჩელის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდეს

უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო“ განმარტებას, კერძოდ, იმის განმარტებას, თუ რას მიიჩნევდა სააპელაციო პალატა უსაფუძვლობასა და ხანდაზმულობაში. კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს, აგრეთვე, იმის განმარტებას, ითვლება თუ არა გაუქმებულად ბათუმის საქალაქო სასამართლოს 11.07.05წ. განჩინება, რომლითაც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეულ იქნა ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 10.06.05წ. გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება დაიშვება მხოლოდ გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ამასთან, გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად და იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. გადაწყვეტილების განმარტება მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა. გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში განიმარტება, როდესაც მისი შინაარსი არის ბუნდოვანი, გაურკვეველი ან წინააღმდეგობრივი. გაურკვეველობა უნდა ეხებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. სსკ-ის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვნებაა. გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტების მიცემაში პრიორიტეტულია არა მხარის სურვილი მოისმინოს მიღებული გადაწყვეტილების დამატებითი არგუმენტები, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვნობა. საკასაციო პალატა თვლის, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 10.10.05წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და კერძოდ სარეზოლუციო ნაწილის ის დებულება, რომლითაც ბ. ბ-მის სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო, არ არის ბუნდოვანი. შესაბამისად, იგი არ საჭიროებს განმარტებას, მისი დასაბუთება მოცემულია 10.10.05წ. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი სავსებით ცხადია. რაც შეეხება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 11.07.05წ. განჩინების ძალაში ყოფნის საკითხის განმარტებას საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელი ხსენებული საკითხის განმარტებას ითხოვს არა საქალაქო, არამედ – სააპელაციო სასამართლოსგან მაშინ, როდესაც სააპელაციო პალატას 10.10.05წ. განჩინებაში აღნიშნულ საკითხზე არ უმსჯელია, შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით ბ. ბ-მს მართებულად ეთქვა უარი განმარტებაზე. ვინაიდან სსკ-ის 262-ე მუხლი იძლევა გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობას მისი შინაარსის შეუცვლელად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადაწყვეტილების განმარტების მოტივით თუნდაც ნაწილობრივ შეცვალოს იგი ან შეეხოს ისეთ საკითხს, რომელიც არ იყო მისი მსჯელობის საგანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბ. ბ-მის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.07წ. განჩინების გაუქმების, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 10.10.05წ. გადაწყვეტილების და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 11.07.05წ. განჩინების განმარტების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 419-420-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 39.1 მუხლის “დ” ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ბ. ბ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.07წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

¹ბს-170-159(კ-07)

24 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

განიხილა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 13.12.07წ. გადაწყვეტილებით ვ. ბ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.12.06წ. განჩინება ვ. ბ-ასათვის მომვლელის დანიშვნის მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ბ-ას სარჩელი მომვლელის დანიშვნის მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა ვ. ბ-ასათვის მომვლელის დანიშვნა, დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 13.06.08წ. შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

განმცხადებელი განცხადებაში მიუთითებს, რომ სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, თუმცა მოქმედი კანონმდებლობით არ წესრიგდება თუ რა პირობებით და კრიტერიუმებით უნდა მოხდეს მომვლელის შერჩევა, კერძოდ, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, ზოგადად, მომსახურების გაწევის ვადები, მომვლელის კვალიფიკაცია, ანაზღაურება და სხვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შუამდგომლობას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 13.12.07წ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და მიაჩნია, რომ არ არსებობს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების განმარტების საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა თხოვნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად. პროცესის ზემოაღნიშნული ნორმა მიზნად ისახავს გადაწყვეტილების განმარტებას იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

ვ. ბ-ა სასარჩელო განცხადებით მოითხოვდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის სოლიდარულად ყოველთვიურად 2001 წლის ნოემბრიდან 2005 წლის თებერვლის ჩათვლით საერთო მომვლელის თანხის – 115 ლარის, ყოველთვიურად – 2005 წლის მარტიდან მდგომარეობის შეცვლამდე, საერთო მომვლელის თანხის – 141 ლარის დაკისრებას. თუ სასამართლო მივიდოდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გარეშე

მომვლელის თანხის გადახდას, მოსარჩელე მოითხოვდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის სოლიდარულად მომვლელის დანიშვნის დაკისრებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 13.12.07წ. გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით, ვ. ბ-ას სარჩელი მომვლელის დანიშვნის მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა და დაევალა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვ. ბ-ასათვის მომვლელის დანიშვნა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული პუნქტი შეიცავს ცალსახა მითითებას იმის თაობაზე, რომ საერთო მომვლელის დანიშვნა უნდა მოხდეს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს მითითებული პუნქტის თავისუფალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა და, შესაბამისად, მისი განმარტების აუცილებლობა.

რაც შეეხება განმცხადებლის მითითებას მომვლელის სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე, მომსახურების გაწევის ვადებზე, კვალიფიკაციისა და ანაზღაურებაზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მომვლელის შერჩევის პირობები და კრიტერიუმები მხარეების მიერ არ ყოფილა სადავოდ გამხდარი, აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენდა დავის საგანს და, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი სცილდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ განმცხადებლის შუამდგომლობა გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე უსაფუძველოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 13.12.07წ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

1ბს-889-856(კს-08) 15 ოქტომბერი 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა თ. ა-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.08წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ა-შვილმა 20.07.08წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 27.04.07 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის განმარტება, რომლის მიხედვითაც, შს სამინისტროს დაევალა იძულებით განადგური ხელფასის ანაზღაურება. თ. ა-შვილმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს 27.04.07წ. გადაწყვეტილებისა და შს მინისტრის 21.01.08.წ. 1343 ბრძანების თანახმად აღდგენილ იქნა სამსახურში შსს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2005, 2006, 2007 წლების ხელფასი დაუანგარიშა

ორი კომპონენტის – თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოს გათვალისწინებით, რასაც იგი არ ეთანხმებოდა. მისი ხელფასი, "პოლიციის შესახებ" კანონის 31.2 მუხლის თანახმად, შეიცავდა ოთხ კომპონენტს, კერძოდ: თანამდებობრივ სარგოს, წოდების სარგოს, წელთა ნამსახურების პროცენტულ დანამატს და კვების კომპენსაციას. ხოლო 2006, 2007 წლებში შრომითი ანაზღაურება უნდა მიეღო "პოლიციის შესახებ" კანონში 23.12.05წ. ¹2493-რს-ით შეტანილი ცვლილების 31.4 და 31.5 მუხლების მიხედვით, რითაც პოლიციელის ანაზღაურება კვლავ განისაზღვრა 4 კომპონენტით. აღნიშნული დასტურდებოდა შსს 18.06.08წ. ¹10/415-4554 ცნობით. რომ არა უკანონო დათხოვნა, 2005, 2006, 2007 წლების ანაზღაურებას მიიღებდა 4 კომპონენტის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, თ. ა-შვილმა მოითხოვა, სსკ-ის 262 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების მეხუთე პუნქტის განმარტება, კერძოდ: იძულებით განაცდური ხელფასი უნდა ანაზღაურებოდა თუ არა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37.1 მუხლით, როგორც ეს მითითებული იყო გადაწყვეტილებაში და "პოლიციის შესახებ" კანონის 2005 წლის რედაქციის 31.2 მუხლით განსაზღვრული 4 კომპონენტით და შემდგომ "პოლიციის შესახებ" კანონში 23.12.05წ. ¹2493-რს-ით შეტანილი ცვლილებების შედეგად 31.4 და 31.5 მუხლებით განსაზღვრული ასევე 4 კომპონენტით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.07.08წ. განჩინებით თ. ა-შვილს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.04.07წ. გადაწყვეტილების განმარტებაზე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მისი გადაწყვეტილება, რომლის განმარტებასაც ითხოვდა თ. ა-შვილი, ნათლად და გარკვევით იყო ჩამოყალიბებული, არ შეიცავდა ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს და იგი განმარტებას არ საჭიროებდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ა-შვილმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში. თ. ა-შვილმა კერძო საჩივარში აღნიშნა, რომ შ.ს სამინისტრომ მას 27.04.07წ. გადაწყვეტილების საფუძველზე იძულებით განაცდური ხელფასი დაუანგარიშა 2 კომპონენტის მიხედვით, მაშინ, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება ადგენდა ხელფასის 4 კომპონენტს, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ შს სამინისტრო სასამართლოს გადაწყვეტილებას ასრულებდა არაჯეროვნად. თ. ა-შვილის განმარტებით, იგი იძულებული იქნებოდა მიემართა საქალაქო სასამართლოსთვის შს სამინისტროს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით. სასამართლოს ხელახლა უნდა ემსჯელა იმაზე, რაც უკვე განხილული და გადაწყვეტილი იყო სასამართლოს 27.04.07წ. გადაწყვეტილებით. საჭირო იყო მხოლოდ 27.04.07წ. გადაწყვეტილების მეხუთე პუნქტის – იძულებით განაცდური ხელფასის განმარტება, კერძოდ, განმარტება იმისა, თუ რამდენ კომპონენტს მოიცავდა იძულებით განაცდური ხელფასი 25.01.05წ.-21.01.08წ. პერიოდში. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 262-ე მუხლის მოთხოვნა. სასამართლო ვალდებული იყო, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განემარტა გადაწყვეტილება, გასაჩივრებული განჩინება ხელს უშლის 27.04.07წ. გადაწყვეტილების სწრაფ და ჯეროვან აღსრულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 30.07.08წ. განჩინებით თ. ა-შვილის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ თ. ა-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.04.07წ. გადაწყვეტილების მე-5 პუნქტის განმარტების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.07.08წ. განჩინება.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ განცხადება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განიხილა არსებითი პროცესუალური დარღვევების გარეშე და საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიღებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 262.1 მუხლი ითვალისწინებს გადაწყვეტილების განმარტებას იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება ან მისი ნაწილი არ არის ცალსახად, გარკვევით და ნათლად ჩამოყალიბებული, შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს 27.04.07წ. გადაწყვეტილება ნათლად და გარკვევითაა ჩამოყალიბებული, არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს და იგი განმარტებას არ საჭიროებს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.04.07წ. გადაწყვეტილების მე-6 პუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა თ.

ა-შვილისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება განთავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს 27.04.07წ. გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი არ ეხება სადავო საკითხს – განაცდური ხელფასის ანაზღაურებას. გადაწყვეტილების ამ პუნქტის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 25.01.05წ. ¹134 ბრძანება საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების სამხედრო სამსახურიდან სამხედრო ძალების რეზერვში დათხოვნის თაობაზე (დანართი ¹1) ცნობილი იქნა ბათილად თ. ა-შვილის ნაწილში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა თ. ა-შვილის სამსახურებრივი მოწყობის თაობაზე. განაცდური ხელფასის ანაზღაურებას ეხება ამავე გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილი დავა არ ეხებოდა განაცდური ხელფასის კომპონენტებს. პროცესუალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების განმარტების სახით ახალი გადაწყვეტილების მიღებას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თ. ა-შვილს მართებულად ეთქვა უარი გადაწყვეტილების განმარტებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 262-ე, 285-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ა-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.08წ. განჩინება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

¹ბს-894-861(კს-08) 15 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე**

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა გ. ა-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.08წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ა-შვილმა 20.06.08წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 14.04.05წ. გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის განმარტება, რომლის მიხედვითაც, შს სამინისტროს დაევალა გ. ა-შვილის სამსახურში აღდგენა მის მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურებით. გ. ა-შვილმა აღნიშნა, რომ შს მინისტრის 15.11.05წ. ¹1820 კ/შ ბრძანების თანახმად აღდგენილ იქნა შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტში ოპერატიულ თანამშრომლად. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 01.01.05წ. – 15.11.05წ. პერიოდის ხელფასი დაუანგარიშა ორი კომპონენტის – თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოს გათვალისწინებით, რასაც იგი არ ეთანხმებოდა. მისი ხელფასი, "პოლიციის შესახებ" კანონის 31.2 მუხლის თანახმად, შეიცავდა ოთხ კომპონენტს, კერძოდ: თანამდებობრივ სარგოს, წოდების სარგოს, წელთა ნამსახურეობის პროცენტულ დანამატს და კვების კომპენსაციას, რასაც ასევე ადასტურებდა შსს 18.06.08წ. ¹10/415-4554 ცნობა. 23.12.05წ. "პოლიციის შესახებ" კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და 31.4 და 31.5 მუხლების მიხედვით, პოლიციელის ანაზღაურება კვლავ განისაზღვრა 4 კომპონენტით, მაგრამ აღნიშნული ცვლილება არ შეეხებია მის მიმართ ასანაზღაურებელი ხელფასის პერი-

ოდს. რომ არა უკანონო დათხოვნა, 2005 წლის ანაზღაურებას მიიღებდა 4 კომპონენტის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე გ. ა-შვილმა მოითხოვა, სსკ-ის 262 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის განმარტება, კერძოდ, იძულებით განაცდური ხელფასი უნდა ანაზღაურებოდა თუ არა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 37.1 მუხლით, როგორც ეს მითითებული იყო გადაწყვეტილებაში და "პოლიციის შესახებ" კანონის 2005 წლის რედაქციის 31.2 მუხლით განსაზღვრული 4 კომპონენტით და შემდგომ "პოლიციის შესახებ" კანონში 23.12.05წ. 12493-რს კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად 31.4 და 31.5 მუხლებით განსაზღვრული ასევე 4 კომპონენტით, რომელიც არ შეხება მის მიმართ ასანაზღაურებელი ხელფასის პერიოდს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.08წ. განჩინებით გ. ა-შვილს უარი ეთქვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 14.04.05წ. გადაწყვეტილების განმარტებაზე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება, რომლის განმარტებასაც ითხოვდა თ. ა-შვილი, ნათლად და გარკვევით იყო ჩამოყალიბებული, არ შეიცავდა ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს და იგი განმარტებას არ საჭიროებდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ა-შვილმა. მან კერძო საჩივარში აღნიშნა, რომ შს სამინისტრომ მას 14.04.05წ. გადაწყვეტილების საფუძველზე იძულებით განაცდური ხელფასი დაუანგარიშა 2 კომპონენტის მიხედვით, მაშინ, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება ადგენდა ხელფასის 4 კომპონენტს, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ შს სამინისტრო სასამართლოს გადაწყვეტილებას ასრულებდა არაჯეროვნად. გ. ა-შვილის განმარტებით, იგი იძულებული იქნებოდა, მიემართა საქალაქო სასამართლოსთვის შს სამინისტროს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით, რომლითაც მას დაუანგარიშეს იძულებითი განაცდური ხელფასი 2 კომპონენტის მიხედვით. სასამართლოს ხელახლა უნდა ემსჯელა იმაზე, რაც უკვე განხილული და გადაწყვეტილი იყო სასამართლოს 14.04.05წ. გადაწყვეტილებით. საჭირო იყო მხოლოდ 14.04.05წ. გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის _ იძულებით განაცდური ხელფასის განმარტება, კერძოდ, განმარტება იმისა, თუ რამდენ კომპონენტს მოიცავდა იძულებით განაცდური ხელფასი 01.01.05წ._15.11.05წ. პერიოდში. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 262-ე მუხლის მოთხოვნა. სასამართლო ვალდებული იყო, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განემარტა გადაწყვეტილება, გასაჩივრებული განჩინება ხელს უშლის 14.04.05წ. გადაწყვეტილების სწრაფ და ჯეროვან აღსრულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 30.07.08წ. განჩინებით გ. ა-შვილის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ გ. ა-შვილის კერძო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 14.04.05წ. გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის განმარტების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.05წ. განჩინება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ განცხადება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განიხილა არსებითი პროცესუალური დარღვევების გარეშე და საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიღებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 262.1 მუხლი ითვალისწინებს გადაწყვეტილების განმარტებას იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება ან მისი ნაწილი არ არის ცალსახად, გარკვევით და ნათლად ჩამოყალიბებული, შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს. გადაწყვეტილების განმარტება არის დაშვებული ხარვეზის შევსების ერთ-ერთი საშუალება. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 14.04.05წ. გადაწყვეტილება ნათლად და გარკვევითაა ჩამოყალიბებული, არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს და იგი განმარტებას არ საჭიროებს. გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის თანახმად, გ. ა-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის 09.08.04წ. 12160-პ.შ ბრძანება, გ. ა-შვილი აღდგენილ იქნა სამსახურში მის მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურებით. ამდენად, გადაწყვეტილი დავა არ ეხებოდა განაცდური ხელფასის კომპონენტებს. პროცესუალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გადაწ-

ყვეტილების განმარტების სახით ახალი გადაწყვეტილების მიღებას. ამასთან, სსკ-ის 262.1 მუხლის თანახმად არ დაიშვება გადაწყვეტილების განმარტება, თუ გადაწყვეტილება უკვე აღსრულებულია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. ა-შვილს მართებულად ეთქვა უარი გადაწყვეტილების განმარტებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 262-ე, 285-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. ა-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.06.08წ. განჩინება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

18ს-1049-1002(კ-07) 19 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე**

განიხილა მ. ჭ-ას განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.03.08წ. განჩინების განმარტების შესახებ

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.03.08წ. განჩინებით მ., გ., რ. ჭ-იებს, ლ. ც-შვილისა და ზ. ც-ას საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

19.11.08წ. მ. ჭ-იამ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.03.08წ. განჩინების განმარტება. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ხსენებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში მითითებულია საქართველოს მთავრობის 15.01.04წ. ¹108 დადგენილებით შექმნილი კომისიის შესახებ და მითითებულია, რომ კომისიის უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია 2009 წლის 1 იანვრამდე. ამ დრომდე მან უნდა შეიმუშავოს სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციები და წარუდგინოს ისინი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს. განმცხადებელმა მოითხოვა განმარტება იმისა, თუ კომისიამ 2009 წლის 1 იანვრამდე არ შეიმუშავა საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციები, აქვს თუ არა უფლება, იმავე საქმეზე წამოიწყოს დავა. მ. ჭ-იამ აგრეთვე მოითხოვა იმის განმარტება, შეუძლია თუ არა დავის წამოწყება იმ შემთხვევაში, თუ კომისია 1997წ. შემუშავებული მეთოდების ანალოგიურ მეთოდებს შეიმუშავებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა მ. ჭ-იას განცხადებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.03.08წ. განჩინების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება განჩინების განმარტების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.03.08წ. განჩინებით მ., გ., რ. ჭ-იებს, ლ. ც-შვილისა და ზ. ც-ას საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული. აღნიშნული განჩინების სამოტივაციო ნაწილში მითითებულ იქნა,

რომ საქართველოს მთავრობის 15.11.04წ. ¹108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო კომისიის უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია 2009 წლის 1 იანვრამდე, რა დრომდეც მან უნდა შეიმუშავოს სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციები და წარუდგინოს ისინი საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს. ამდენად, არ არსებობს ამ ეტაპზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 262.1 მუხლი ითვალისწინებს გადაწყვეტილების განმარტებას, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია, გადაწყვეტილება ან მისი ნაწილი არ არის ცალსახად და ნათლად ჩამოყალიბებული და იგი შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ და ბუნდოვან დებულებებს. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.03.08წ. განჩინება ასეთ დებულებებს არ შეიცავს, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ჭ-იას უარი უნდა ეთქვას გადაწყვეტილების განმარტებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 285-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ჭ-იას უარი ეთქვას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.03.08წ. განჩინების განმარტებაზე;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

1ბს-800-769(კ-08)

16 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ლ. ჩ-ელის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

2008 წლის 26 დეკემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ლ. ჩ-ელმა და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა მისთვის ასანაზღაურებელი თანხის მითითებით, შემდეგი მოტივით:

2007 წლის 9 ოქტომბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ 1998-2000 წლების სახელფასო, კვებისა და მატერიალური დახმარების _ სულ 1072,26 ლარის ანაზღაურების შესახებ. საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 30 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა დაშვებულ ნაწილში, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინება ლ. ჩ-ელის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის _ 473,78 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინ-

ნისტროსთვის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ჩ-ელის სარჩელი კვების კომპენსაციის – 473,78 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2008 წლის 25 ნოემბერს გამოწერილ იქნა სააღსრულებო ფურცელი.

განმცხადებლის მითითებით, საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მიმართა სააღსრულებო ბიუროს, მაგრამ ამ უკანასკნელმა წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე არ მოახდინა აღსრულება იმ მოტივით, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებული იყო კვების კომპენსაციის – 473,78 ლარის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო დარჩენილი – სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხის – 598,48 ლარის ანაზღაურებაზე არ იყო მითითებული.

განმცხადებელმა სააღსრულებო ფურცლის გაცემის მიზნით, მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რაზეც ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა სრულად იყო დაკმაყოფილებული, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ უნდა მომხდარიყო სააღსრულებო ფურცლის გაცემა, სადაც მითითებოდა დარჩენილი – ასანაზღაურებელი თანხა.

ამდენად, განმცხადებელმა მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილებებით მოსარჩელე – ლ. ჩ-ელის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრებული თანხის – 598,48 ლარის მიღების მიზნით, ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა ასანაზღაურებელი თანხის დაკონკრეტებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა წარმოდგენილი განცხადების გაცნობისა და საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების იურიდიული სპეციფიურობის გათვალისწინების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლ. ჩ-ელის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეებს განემარტოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262.1 მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, რათა დაბრკოლება არ შეექმნას მხარის უფლების რეალიზაციას, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანასა და მოსარჩელისათვის მიკუთვნებული თანხის რეალურად მიღებას, უნდა განიმარტოს საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ლ. ჩ-ელის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მიუღებელი სახელფასო დავალიანების – 1072,26 ლარის, მათ შორის, ხელფასი – 309,51 ლარი, კვების კომპენსაცია – 473,78 ლარი, ჯილდო – 222,59 ლარი, მატერიალური დახმარება – 66,38 ლარი, ანაზღაურება. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად და მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ დავალიანების – 1072,26 ლარის ანაზღაურება. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მხოლოდ კვების კომპენსაციის – 473,78 ლარის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც თავის მხრივ უცვლელად იყო დატოვებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებები შეცვალა მხოლოდ კვების კომპენსაციის ნაწილში, ხოლო დანარჩენი თანხის – 598,48 ლარის (1072,26-473,78) ანაზღაურების ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეცვლილა და შესულია კანონიერ ძალაში თანახმად სსსკ-ის 264.1 მუხლის "გ" და 264.2 მუხლისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება უნდა განიმარტოს შემდეგნაირად: მოსარჩელე ლ. ჩ-ელისათვის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 598,48 ლარს (1072,26-473,78), რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნა – 1072,26 ლარის ანაზღაურების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შემცირდა 473,78 ლარის ნაწილში, შესაბამისად, მოსარჩელე ლ. ჩ-ელისათვის ასანაზღაურებელი თანხა, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, შეადგენს 598,48 ლარს, რომლის ანაზღაურებაც დაეკისრა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლ. ჩ-ელის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262.1 მუხლის, 243.2, 372-ე, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ჩ-ელის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება განიმარტოს შემდეგნაირად: მოსარჩელე ლ. ჩ-ელისათვის ასანაზღაურებელი თანხა, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, შეადგენს 598,48 ლარს (1072,26-473,78), რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნა – 1072,26 ლარის ანაზღაურების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შემცირდა 473,78 ლარის ნაწილში, შესაბამისად, მოსარჩელე ლ. ჩ-ელისათვის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 598,48 ლარს, რომლის ანაზღაურებაც დაეკისრა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლ. ჩ-ელის სასარგებლოდ;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინების შესაბამისად გაიცეს სააღსრულებო ფურცელი;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

1ბს-1585-1539(გ-08) 12 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილისა და 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. ი-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვარის განჩინების განმარტების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინებით გ. ი-შვილის სააპელაციო საჩივარი განსახილველად დაექვემდებარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

2009 წლის 10 მარტს გ. ი-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას რომლითაც მოითხოვა, ზემოაღნიშნული განჩინების განმარტება, კერძოდ, განმარტების მიცემა იმის თაობაზე, თუ რატომ დაექვემდებარა საქმე განსჯადობით განსახილველად სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გ. ი-შვილის განცხადების გაცნობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მისი განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის ¹ბს-1585-1539(გ-08) განჩინების განმარტების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო სასამართლო განმცხადებლის ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსს და განმარტავს, რომ მითითებული ნორმა მიზნად ისახავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტებას იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების მითითებული ნაწილი არ არის ცალსახად, გარკვევით და ნათლად ჩამოყალიბებული, შეიცავს ურთიერთ გამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს. ამასთან, განმარტების ძირითად და მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის ¹ბს-1585-1539(გ-08) განჩინებით, გ. ი-შვილის სააპელაციო საჩივარი განსახილველად დაექვემდებარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. ამდენად, მითითებული განჩინება არ წარმოადგენს არსებით და აღსასრულებელ გადაწყვეტილებას. ამასთან, განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს, რის გამოც არ არსებობს მისი განმარტების პროცესუალური შესაძლებლობა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. იასაშვილს უარი უნდა ეთქვას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის ¹ბს-1585-1539(გ-08) განჩინების განმარტებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ი-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის ¹ბს-1585-1539(გ-08) განჩინების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

¹ბს-1690-1644 (23-კს-08) 12 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 28 აპრილს მ. ნ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა მისი სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 13 აპრილის ¹257 განკარგულების ბათილად ცნობა; მთავარი მრჩევლის სამტატო ერ-

თეულის გაუქმების ნაწილში – ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 12 აპრილის 1246 განკარგულების ბათილად ცნობა; ქ. თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის საშტატო ნუსხაში საკრებულოსა და მთავრობის აპარატის მთავარი მრჩევლის თანამდებობის ერთი საშტატო ერთეულის გათვალისწინება, მოსარჩელის მთავარი მრჩევლის თანამდებობაზე აღდგენა და 2005 წლის აპრილიდან სამსახურში აღდგენამდე იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ნ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 12 აპრილის 1246 და 2005 წლის 13 აპრილის 1257 განკარგულებები მთავარი მრჩევლის საშტატო ერთეულის გაუქმებისა და მ. ნ-შვილის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილებში; ქ. თბილისის მერიას დაევალა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი კვირის ვადაში გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციაში მთავარი მრჩევლის საშტატო ერთეულის გათვალისწინებისა და მოსარჩელის აღნიშნულ ან სხვა შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ; ქ. თბილისის მერიას მოსარჩელისთვის 2005 წლის 13 აპრილიდან მის სამსახურში აღდგენამდე თანამდებობრივი სარგოს – 1000 ლარის გათვალისწინებით იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება დაეკისრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ნ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 12 აპრილის 1246 განკარგულება ქ. თბილისის მერიისა და მთავრობის აპარატის მთავარი მრჩევლის საშტატო ერთეულის გაუქმების ნაწილში და ქ. თბილისის პრემიერის 2005 წლის 13 აპრილის 1257 განკარგულება იმ ნაწილში, რომლითაც მ. ნ-შვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და ქ. თბილისის მერიას დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2008 წლის 25 ნოემბერს მ. ნ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის განმარტება, კერძოდ, თუ რა ვადაში უნდა უზრუნველყო ქ. თბილისის მერიას სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით მ. ნ-შვილის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა გადაწყვეტილების განმარტებისთვის კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი სავალდებულო პირობა – სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვანება, ხოლო განმცხადებელმა მითითებულ საკითხებზე სასამართლოს მიერ განმარტებების გაკეთება სცილდებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნებს.

რაც შეეხება მხარის ინტერესს, თუ რა ვადაში უნდა გამოეცა ადმინისტრაციულ ორგანოს, დაინტერესებული პირის განცხადების ან კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების საფუძველზე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხს აწესრიგებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლი და იგი დამატებით განმარტებას არ საჭიროებდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ნ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლი განსაზღვრავდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადებს ადმინისტრაციული წარმოებისას, რომელიც იწყებოდა დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ან კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების არსებო-

ბისას. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება კი ხდებოდა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, რის გამოც ქ. თბილისის მერიის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა გაურკვეველი იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით მ. ნ-შვილის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაიწმინდა 2009 წლის 12 მარტს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა მ. ნ-შვილის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

საკასაციო სასამართლო, ზემოხსენებული ნორმიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება დაიშვება მხოლოდ გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების ხელშეწყობის მიზნით და, ამასთან, გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად. გადაწყვეტილების განმარტება მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა. გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში განიმარტება, როდესაც მისი შინაარსი არ არის ცალსახად, გარკვევით და ნათლად ჩამოყალიბებული და შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს. გაურკვეველობა უნდა ეხებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. გადაწყვეტილების განმარტებაში პრიორიტეტულია არა მხარის სურვილი მოისმინოს მიღებული გადაწყვეტილების დამატებითი არგუმენტები, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვანება.

საკასაციო სასამართლო გაეცნო კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას ქ. თბილისის მერიის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ განმცხადებელი ითხოვს არა გადაწყვეტილების განმარტებას, არამედ – დამატებითი პირობების დადგენას, რაც, ფაქტობრივად, საქმის არსებით განხილვაში შესვლას ნიშნავს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის განმარტება, თუ რა ვადაში უნდა უზრუნველყო ქ. თბილისის მერიას სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულება, არ არის ბუნდოვანი, შესაბამისად, იგი არ საჭიროებს განმარტებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. ნ-შვილის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ნ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

1ბს-1638-1592(კს-08)

25 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბ. ს-შვილის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.07წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.03.08წ. გადაწყვეტილებით ბ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.05.07წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. ს-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 15.01.07წ. ^{18/კ} ბრძანება ბ. ს-შვილის მინისტრის მრჩევლის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დავალა ბ. ს-შვილისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2007 წლის 15 იანვრიდან 2007 წლის 30 აგვისტომდე პერიოდში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.05.07წ. გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. ს-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 11.09.08წ. განჩინებით ბ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.03.08წ. გადაწყვეტილება.

ბ. ს-შვილმა 24.10.08წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც მოითხოვა განმარტება იმისა, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა მოხდეს სამინისტროს მიერ არ არსებობს გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამაბათილებელი ბრძანების და მისი დანიშვნის ბრძანების გამოცემა, ასევე, შესაბამისი ანაზღაურების გაცემა.

განმცხადებელმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მისი გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის შემდეგ უნდა არსებობდეს ახალი ბრძანება მისი დანიშვნის შესახებ, იმისათვის, რომ გაიცეს შესაბამისი ანაზღაურება, ვინაიდან ძველი ბრძანება (დანიშვნის შესახებ) რეორგანიზაციის გამო, უკვე გაუქმებულია და გაუგებარია, რის საფუძველზე დაადგინა სააპელაციო პალატამ განაცდურის ანაზღაურების ვადები. სააპელაციო პალატამ სამართლიანად მიიჩნია, რომ ბრძანება ბათილია, მაგრამ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, არ მიუთითა აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებზე. ბ. ს-შვილის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში სასამართლომ არამართლზომიერად იმსჯელა სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით და განაცდურის ანაზღაურებაც არამართლზომიერად განსაზღვრა. განმცხადებელს მიაჩნია, რომ აქტის ბათილად გამოცხადების შემდეგ სასამართლოს უნდა დაევალებინა სამინისტროსათვის, გამოეცა ახალი ბრძანება მისი დანიშვნის შესახებ, ვინაიდან ჩატარებული რეორგანიზაციის გამო, წინა დანიშვნის ბრძანება, რომლის მიხედვითაც ბ. ს-შვილი დანიშნული იყო თანამდებობაზე მინისტრის უფლებამოსილების ვადით, გაუქმებულია. ეს უნდა მომხდარიყო იმავე მუხლებით, როგორც ეს მოხდა 15.01.07წ. დანიშნულ მრჩეველთა შემთხვევაში და შესაბამისი ანაზღაურებაც დადგენილიყო სამინისტროს ცენტრალური აპარატის, მინისტრის აპარატის მრჩეველთა სახელფასო განაკვეთით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 12.01.07წ. ^{11/ო} ბრძანებით. განმცხადებლის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში სათანადოდ არ არის განმარტებული საქმის ვითარება და შედეგად ძალაში დატოვებული სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები ისევ ბუნდოვანი რჩება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.08წ. განჩინებით ბ. ს-შვილის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.03.08წ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამოძიან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს გადაწყვეტილების განმარტებისათვის კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი სავალდებულო პირობა – სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვნება, ხოლო განცხადებაში მითითებულ საკითხებზე სასამართლოს მიერ განმარტებების გაკეთება, სცილდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნებს. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი და შესაბამისად, იგი არ საჭიროებს განმარტებას. ამდენად, ბ. ს-შვილის მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველსა მოკლებული, დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.08წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბ. ს-შვილმა, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.03.08წ. გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების სასამართლოს მიერ არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, უკანონოდ დათხოვნილი მოხელე ექვემდებარება ადმინისტრაციის მიერ მუშაკის სამუშაოზე დაუყოვნებლივ აღდგენას. სამინისტროს მიერ სააღსრულებო ბიუროსა და ბ. ს-შვილისათვის გაგზავნილ წერილებში არ წერია, რომ სამინისტრო, კანონის თანახმად, იღებს ვალდებულებას, სასამართლოს მიერ მისი გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის შემდეგ გამოსცეს ბათილად ცნობის ბრძანება (15.01.07წ. მდგომარეობით), გამოსცეს ბათილად ცნობის შემდეგი დანიშნვის ბრძანება (15.01.07წ. მდგომარეობით) და გამოსცეს მისი გათავისუფლების ბრძანება (01.09.07წ. მდგომარეობით). ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების გარეშე გაუგებარია, რის საფუძველზე ის თანხა დიანგარიშა სამინისტრომ, რომელიც მითითებულია სააღსრულებო ბიუროსადმი მიწერილ შესაგებელ დოკუმენტში. სააღსრულებო ბიუროსადმი მიწერილ, შესაგებელ წერილში სამინისტრო მიუთითებს, რომ 2007 წლის 15 იანვრიდან 2007 წლის 30 აგვისტომდე პერიოდში ბ. ს-შვილის განაცდური ხელზე მისაღები ხელფასი შეადგენს 6218,18 ლარს და არ მიუთითებს ამ თანხის წარმომავლობას, რის საფუძველზეც მოხდა ეს დაანგარიშება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 14.11.06წ. ¹301/ო ბრძანების (რეორგანიზაციის შესახებ) და მინისტრის 12.01.07წ. ¹11/ო ბრძანების საფუძველზე გაუქმდა ძველი საშტატო განრიგი და 15.01.07წ. დანიშნულ მინისტრის აპარატის მრჩევლის ორივე საშტატო ერთეულს შეეცვალა და დაუდგინდა სხვადასხვა თანამდებობრივი სარგო. ამდენად, ბ. ს-შვილისათვის გაუგებარია მისი კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშვნისა (15.01.07წ. მდგომარეობით) და გათავისუფლების ბრძანების (01.09.07წ.) გამოცემის გარეშე, როგორ შეძლო სამინისტრომ დაენგარიშებინა მისი ე.წ. განაცდური ხელფასი. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. სამინისტრო ბ. ს-შვილისათვის გაგზავნილ წერილში (04.11.08წ.) ატყობინებს მას, რომ სამინისტროში დანამატები არ გაიცემა, ხოლო 15.01.07წ.-01.08.07წ. პერიოდში გამოიცა შვიდი ბრძანება მინისტრის აპარატის, მათ შორის, მრჩეველთა (როგორც ამ თანამდებობაზე მომუშავეთა) პრემიების შესახებ. შესაბამისად, ასანაზღაურებელი ხელფასის დაანგარიშებისას უნდა განისაზღვროს მისი, როგორც საჯარო სამსახურის თანამდებობის პირის, სტატუსი, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა საფუძველზე, მისი გათავისუფლების ბრძანების გაბათილების შემდგომ (15.01.07წ. მდგომარეობით) და სრულად იქნეს დაანგარიშებული და აუნაზღაურდეს განაცდური ხელფასი, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მის შრომის წიგნაკში, უკვე გაბათილებული გათავისუფლების ბრძანების გამო არსებული ჩანაწერი უნდა შეიცვალოს შესაბამისი სამი ბრძანების ჩანაწერით (გათავისუფლების ბრძანების გაბათილების, დანიშვნისა და გათავისუფლების) და გაეზარდოს საჯარო სამსახურში მუშაობის სტაჟი. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს 13.05.08წ. გადაწყვეტილება, ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, არის ბუნდოვანი, არ არის გათავისწინებული არსებული სიტუაცია და სამართლებრივი შედეგები, აღსრულებისას შექმნილია მთელი რიგი პრობლემები, რის გამოც ფერხდება გადაწყვეტილების აღსრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ს-შვილის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.08წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.08წ. განჩინებით ბ. ს-შვილს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.03.08წ. გადაწყვეტილების განმარტებაზე, რომლითაც მისი სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.05.07წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ბ. ს-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 15.01.07წ. ^{18/3} ბრძანება ბ. ს-შვილის მინისტრის მრჩევლის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა ბ. ს-შვილისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2007 წლის 15 იანვრიდან 2007 წლის 30 აგვისტომდე პერიოდში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.05.07წ. გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად. ბ. ს-შვილმა 24.10.08წ. განცხადებით მოითხოვა განმარტება იმისა, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა მომხდარიყო სამინისტროს მიერ გათავისუფლების ბრძანების გაბათილების ბრძანების გამოცემა, მისი დანიშვნის ბრძანების გამოცემა და შესაბამისი ანაზღაურების გაცემა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება დაიშვება მხოლოდ გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ამასთან, გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად და იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. გადაწყვეტილების განმარტება მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა. გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში განიმარტება, როდესაც მისი შინაარსი არის ბუნდოვანი, გაურკვეველი ან წინააღმდეგობრივი. გაურკვეველობა უნდა ეხებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. სსკ-ის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვნებაა. გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტების მიცემაში პრიორიტეტულია არა მხარის სურვილი, მოისმინოს მიღებული გადაწყვეტილების დამატებითი არგუმენტები, არამედ – გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვნება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.03.08წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი და შესაბამისად, იგი არ საჭიროებს განმარტებას, მისი დასაბუთება მოცემულია ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი სავესებით ცხადია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით ბ. ს-შვილს მართებულად ეთქვა უარი გადაწყვეტილების განმარტებაზე. ვინაიდან სსკ-ის 262-ე მუხლი იძლევა გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობას მისი შინაარსის შეუცვლელად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გადაწყვეტილების განმარტების მოტივით, თუნდაც ნაწილობრივ შეცვალოს იგი ან შეეხოს ისეთ საკითხს, რომელიც არ იყო მისი მსჯელობის საგანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბ. ს-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.08წ. განჩინების გაუქმების და ამავე სასამართლოს 13.03.08წ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 419-420-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. ს-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.08წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

¹ბ-1110-1(გან-09) 14 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ცისკაძე

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მ. მ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინებისა და 24 ივლისის ¹ბს-512-490(კ-08) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 1 აგვისტოს მ., თ. მ-შვილებმა, ც. ბ-ი-ბ-შვილმა და ქ. კ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოპასუხისათვის მათ სასარგებლოდ სახელფასო დავალიანებების გადახდის დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. მ-შვილის, თ. მ-შვილის, ც. ბ-ლი-ბ-შვილისა და ქ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მ. მ-შვილის სასარგებლოდ – 1320,31 ლარის, თ. მ-შვილის სასარგებლოდ – 686,20 ლარის, ც. ბ-ი-ბ-შვილის სასარგებლოდ – 496,20 ლარის, ხოლო ქ. კ-ძის სასარგებლოდ – 1130,91 ლარის გადახდა დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ., თ. მ-შვილების, ც. ბ-ი-ბ-შვილისა და ქ. კ-ძისათვის ხელფასისა და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება მ., თ. მ-შვილების, ც. ბ-ი-ბ-შვილისა და ქ. კ-ძისათვის ხელფასისა და ჯილდოს თანხების ანაზღაურების ნაწილში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკა-

საცო საჩივარი მ. მ-შვილისათვის კვების კომპენსაციის – 670,40 ლარის, თ. მ-შვილისათვის კვების კომპენსაციის – 367,26 ლარის, ც. ბ-ი-ბ-შვილისათვის კვების კომპენსაციის – 141,60 ლარისა და ქ. კ-ძისათვის კვების კომპენსაციის – 570,55 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის განხილვა დაშვებულ ნაწილში დაინიშნა 2008 წლის 24 ივლისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ – კვების კომპენსაციის ნაწილში დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება მ. მ-შვილის, ც. ბ-ი-ბ-შვილის, ქ. კ-ძისა და თ. მ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის, შესაბამისად, 670,40 ლარის, 141,60 ლარის, 570,55 ლარისა და 367,26 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; მ. მ-შვილის, ც. ბ-ლი-ბ-შვილის, ქ. კ-ძისა და თ. მ-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის თანხების, შესაბამისად – 670,40 ლარის, 141,60 ლარის, 570,55 ლარისა და 367,26 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

2009 წლის 24 მარტს მ. მ-შვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინებისა და 24 ივლისის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა, კერძოდ, რა ოდენობით თანხის ანაზღაურება დაეკისრა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელების სასარგებლოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მ. მ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინებისა და 24 ივლისის 1ბს-512-490(კ-08) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ აღნიშნული კოდექსით სხვა წესი არ არის დადგენილი, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, რათა დაბრკოლება არ შეექმნას მხარის უფლების რეალიზაციას, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანასა და მოსარჩელისათვის მიკუთვნებული თანხის რეალურად მიღებას, უნდა განიმარტოს საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელების – მ., თ. მ-შვილების, ც. ბ-ი-ბ-შვილისა და ქ. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, კერძოდ, მ. მ-შვილის მიმართ – 1320,31 ლარის ოდენობით, მათ შორის, ხელფასის თანხა იყო – 372,60 ლარი, კვების თანხა – 670,40 ლარი, ჯილდო – 277,31 ლარი, ც. ბ-ლი-ბ-შვილის მიმართ – 496,20 ლარის, მათ შორის, ხელფასის თანხა იყო 77,29 ლარი, კვების თანხა – 141,60 ლარი, ჯილდო – 277,31 ლარი, ქ. კ-ძის მიმართ – 1130,91 ლარის ოდენობით, მათ შორის, ხელფასის თანხა იყო 282,44 ლარი, კვების თანხა – 570,55 ლარი, ჯილდო – 277,92 ლარი, ხოლო თ. მ-შვილის მიმართ – 686,20 ლარის, მათ შორის, ხელფასის თანხა იყო 246,28 ლარი, კვების თანხა – 367,26 ლარი, ჯილდო – 72,66 ლარი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება მ., თ. მ-შვილების, ც. ბ-ი-ბ-შვილისა და ქ. კ-

მისათვის ხელფასისა და ჯილდოს თანხების ანაზღაურების ნაწილში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით კი გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება მ. მ-შვილის, ც. ბ-ლი-ბ-შვილის, ქ. კ-ძისა და თ. მ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის, შესაბამისად – 670,40 ლარის, 141,60 ლარის, 570,55 ლარისა და 367,26 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში. ამდენად, საკასაციო სასამართლომ სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებები შეცვალა მხოლოდ კვების კომპენსაციის ნაწილში, ხოლო დანარჩენი თანხის: მ. მ-შვილის მიმართ – 649,91 ლარის, ც. ბ-ლი-ბ-შვილის მიმართ – 354,6 ლარის, ქ. კ-ძის მიმართ – 560,36 ლარის, ხოლო თ. მ-შვილის მიმართ – 318,94 ლარის ანაზღაურების ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება არ შეცვლილა და შესულია კანონიერ ძალაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტისა და მეორე ნაწილის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. მ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინებისა და 24 ივლისის ¹ბს-512-490(კ-08) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინება და 24 ივლისის ¹ბს-512-490(კ-08) გადაწყვეტილება განიმარტოს შემდეგნაირად: მოსარჩელებისათვის: მ. მ-შვილის, ც. ბ-ლი-ბ-შვილის, ქ. კ-ძის და თ. მ-შვილისათვის ასანაზღაურებელი თანხა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად შეადგენს მ. მ-შვილის მიმართ – 649,91 ლარს, ც. ბ-ლი-ბ-შვილის მიმართ – 354,6 ლარს, ქ. კ-ძის მიმართ – 560,36 ლარს, ხოლო თ. მ-შვილის მიმართ – 318,94 ლარს, რომლის ანაზღაურებაც დაეკისრა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

¹ბს-470-449(კს-09) 14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 28 სექტემბერს ე. გ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის მიმართ, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ 2006 წლის 25 აგვისტოს ¹17 გადაწყვეტილებისა და სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე 2006 წლის 6 სექტემბრის ¹395 განკარგულების ბათილად ცნობას, სამუშაოზე აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით ე. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2006 წლის 6 სექტემბრის 1395 განკარგულება ე. გ-ძის ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ე. გ-ძე აღდგენილ იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურში და მას აუნაზღაურდა ხელფასი იძულებითი გაცდენილი დროისათვის.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით ე. გ-ძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2006 წლის 6 სექტემბრის 1395 განკარგულება ე. გ-ძის ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ე. გ-ძე აღდგენილ იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურში და მას აუნაზღაურდა ხელფასი იძულებითი გაცდენილი დროისათვის.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ე. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2006 წლის 6 სექტემბრის 1395 განკარგულება ე. გ-ძის ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო შესყიდვების, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ადგილობრივი სამსახურის ... თანამდებობის ლიკვიდაციის გამო გათავისუფლების შესახებ. ე. გ-ძეს უარი ეთქვა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის ... თანამდებობაზე აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის განჩინებით ე. გ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2008 წლის 30 აპრილს ე. გ-ძემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტება, კერძოდ, განმცხადებელი ითხოვდა განმარტებას, თუ რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა აღნიშნული გადაწყვეტილებით ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2006 წლის 6 სექტემბრის 1395 განკარგულების ბათილად ცნობას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის განჩინებით ე. გ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება განმარტებულ იქნა იმგვარად, რომ რადგან ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2006 წლის 6 სექტემბრის 1395 განკარგულება ე. გ-ძის ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო შესყიდვების, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ადგილობრივი სამსახურის ... თანამდებობიდან ლიკვიდაციის გამო გათავისუფლების შესახებ, ბათილად იქნა ცნობილი უკანონობისათვის (ეწინააღმდეგება კანონს), ამ განკარგულების მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგი დადგენილ იქნა მისი ძალაში შესვლის დღიდან.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. გ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის განჩინებით ე. გ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის განჩინება და ე. გ-ძის განცხადება განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის განჩინებით ე. გ-ძის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით.

სააპელაციო პალატა განჩინებაში მიუთითებდა, რომ სსკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ე. გ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2006 წლის 6 სექტემბრის ¹³⁹⁵ განკარგულება ე. გ-მის ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო შესყიდვების, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ადგილობრივი სამსახურის . . . თანამდებობიდან ლიკვიდაციის გამო გათავისუფლების შესახებ. ე. გ-მეს ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის . . . თანამდებობაზე აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე ეთქვა უარი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანი არ არის და, ამასთან, განმცხადებელი მოითხოვს სასამართლომ განმარტოს თუ რა სამართლებრივი შედეგი უნდა მოჰყვეს მის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, ასევე აქვს თუ არა მას უფლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის გამო ადმინისტრაციულ ორგანოს მოსთხოვოს ზიანი, რაც სცილდება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასამართლოს უფლებამოსილებას.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. გ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის განჩინების გაუქმებასა და მისი განცხადების დაკმაყოფილებას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. გ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება – ე. გ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2006 წლის 6 სექტემბრის ¹³⁹⁵ განკარგულება ე. გ-მის ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო შესყიდვების, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ადგილობრივი სამსახურის . . . თანამდებობიდან ლიკვიდაციის გამო გათავისუფლების შესახებ. ე. გ-მეს უარი ეთქვა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის ეკონომიკური განვითარების უფროსის თანამდებობაზე აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის განჩინებით ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2008 წლის 30 აპრილს ე. გ-მემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტება, კერძოდ, თუ რა სამართლებრივ შედეგებს იწვევდა მის მიმართ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის განჩინებით ე. გ-მეს უარი ეთქვა გადაწყვეტილების განმარტებაზე.

საკასაციო სასამართლომ ე. გ-მის კერძო საჩივრის საფუძველზე შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და მიიჩნია, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლოს აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ აღსრულებულა და თუ არ გაუვიდა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსს და განმარტავს: პროცესუალური კანონმდებლობა გადაწყვეტილების განმარტებას დასაშვებად მიიჩნევს იმ

შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ჩამოყალიბებული ნათლად და გარკვევით, შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს, ამასთან, განმარტება უნდა მოხდეს იმ პირობით, რომ განმარტებამ არ გამოიწვიოს გადაწყვეტილების ძირითადი აზრისა და შინაარსის შეცვლა.

საკასაციო სასამართლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არსებითად პასუხობს სარჩელის ყველა მოთხოვნას, არ შეიცავს ბუნდოვან და შეუსაბამო დებულებებს, რის გამოც არ არსებობს მისი განმარტების პროცესუალური საჭიროება.

რაც შეეხება ე. გ-ძის მოთხოვნას, სასამართლომ განმარტოს თუ რა სამართლებრივი შედეგები უნდა მოჰყვეს მის მიმართ ხელვაჩაურის რაიონის გამგებლის 2006 წლის 6 სექტემბრის 1395 განკარგულების ბათილად ცნობას, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სცილდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით სასამართლოსათვის დადგენილ უფლებამოსილების ფარგლებს – განმარტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივარში წარმოდგენილი მოტივაცია არ იძლევა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. გ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

1ბს-168-162(კს-09) 28 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: საქმის წარმოების შეწყვეტის კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 30 აპრილს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ და მოითხოვა ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 12 ივნისის 1356, 1395, 1416, 1390, 1392, 14 ივნისის 1573, 16 ივნისის 1785, 1788, 1754, 1784, 20 ივნისის 1707, 1668, 1665, 25 ივნისის 1867, 1858, 2563, 2673 და 27 ივნისის 2595 საგადასახადო მოთხოვნების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით საგადასახადო კოდექსის 218.3 მუხლის "გ" ქვეპუნქტის დარღვევისათვის დაწესებულებები დაჯარიმდნენ ამავე კოდექსის 137-ე მუხლის საფუძველზე, რაც უკანონოდ მიიჩნია მოსარჩელემ იმ მოტივით, რომ დაჯარიმებული სამსახურები საგადასახადო კოდექსის 218.3 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენას ვერ განახორციელებდნენ 2006 წლის ოქტომბერში მათი ლიკვიდაციის გამო, კერძოდ, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 65¹-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულად გამოცხადდა ადგილობრივი მმართველობის ორგანო, მასზე დაქვემდებარებული სამსახურებითა და

რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველი ერთეულებით. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად კი, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონი ძალაში შევიდა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღეს, რაც განხორციელდა 2006 წლის 9 ოქტომბერს. ამასთან, საგადასახადო აგენტების დაჯარიმებამდე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2007 წლის 2 თებერვლის 190 წერილით ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას ეცნობა თვითმმართველი ერთეულებისა და მმართველობაში შემავალი სამსახურების ლიკვიდაციის შესახებ და ეთხოვა მათი საიდენტიფიკაციო კოდების გაუქმება. აღნიშნულის მიუხედავად, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციამ, ყოველგვარი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გარეშე, შეადგინა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები.

ამდენად, მოსარჩელის მითითებით, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები ამოიწერა საგადასახადო აგენტების ლიკვიდაციის შემდეგ, შესაბამისად, ლიკვიდირებული დაწესებულებები ვერ შეასრულებდა საგადასახადო კოდექსის 218.3 მუხლის "გ" ქვეპუნქტით დადგენილ ვალდებულებას.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი არ ცნო მოპასუხემ _ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციამ და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა, ასევე იშუამდგომლა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ჩართვის შესახებ იმ მოტივით, რომ შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანებით უარი ეთქვა მოსარჩელეს საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რის გამოც შემოსავლების სამსახური წარმოადგენს იმ სამართალურთიერთობის მონაწილეს, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების მიღებაა შესაძლებელი, ხოლო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხემ ასევე იშუამდგომლა საქმეში მესამე პირად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს ჩართვის შესახებ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 ივნისის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩართო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი დაკმაყოფილდა _ ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 12 ივნისის 1356, 1395, 1416, 1390, 1392, 14 ივნისის 1573, 16 ივნისის 1788, 1754, 1784, 20 ივნისის 1707, 1668, 1665, 25 ივნისის 1867, 1858, 2563 და 27 ივნისის 2595 საგადასახადო მოთხოვნები.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა და ქუთაისის რეგიონალურმა ცენტრმა, რომლებმაც მოითხოვეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო, ასევე ფინანსთა სამინისტრომ და ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა მოითხოვეს სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების სტადიაზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სსსკ-ის 279-ე მუხლის "დ" პუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეჩერება იმ მოტივით, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას შეტანილი ჰქონდა სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ, მესამე პირის _ ქუთაისის რეგიონალური ცენტრის მონაწილეობით, რომლითაც ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის 105-04/3469 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჩივარი ზემოთ მითითებული საგადასახადო მოთხოვნების ბათილად ცნობის თაობაზე.

შესაბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება მითითებული დავის გადაწყვეტამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოახდინა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირება და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის 105-04/3469 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, ამავე სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის გამო, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თავდაპირველ სარჩელში სხვა საგადასახადო მოთხოვნებთან ერთად მოსარჩელე ითხოვდა 2007 წლის 16 ივნისის ¹1785 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობას, რომლის თაობაზეც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი და აღნიშნულთან დაკავშირებით არც მოსარჩელეს განუცხადებია სააპელაციო პრეტენზია, რის გამოც, სსსკ-ის 248-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვერ გასცდებოდა მოთხოვნის ფარგლებს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ დავას არ უკავშირდება და სასამართლო არ განიხილავს საქმეს მასთან მიმართებით ქუთაისის რეგიონალური ცენტრის 2007 წლის 25 ივნისის ¹1858 საგადასახადო მოთხოვნას, რომელშიც მითითებულია ი/მ "ნ. ფ-მის" საიდენტიფიკაციო ნომერი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ქუთაისის რეგიონალური ცენტრის 2007 წლის 25 ივნისის ¹2673 საგადასახადო მოთხოვნა მიმართულია ზესტაფონის თვითმმართველობის მუნიციპალიტეტის მიმართ, რომელიც მიღებული აქვს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 30 აგვისტო და მისი გამოცემის საფუძველია გადახდის წყაროსთან რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული შემოსავლისა და დაკავებული გადასახადის საერთო თანხის შესახებ საგადასახადო ორგანოში ცნობის წარუდგენლობა, რაზეც ვრცელდება საგადასახადო კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია. მითითებულ საგადასახადო მოთხოვნის წყაროსთან მიმართებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან სარჩელი არ აღძრულა, ხოლო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა უთითებს სარჩელში მოყვანილ სხვა საგადასახადო მოთხოვნებთან ერთობლიობაში საერთო იდენტურ საფუძვლებზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის ¹776.2 ბრძანება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჩივარი ¹1356, 1395, 1416, 1390, 1392, 1573, 1785, 1788 1754, 1784, 1707, 1668, 1665, 1867, 1858, 2563, 2673, 2595 საგადასახადო მოთხოვნების ბათილად ცნობის შესახებ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას ჩაჰბარდა 2007 წლის 5 დეკემბერს. 2007 წლის 17 დეკემბერს, 12 დღის დაგვიანებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურის ¹7762 ბრძანება, ხოლო ამ უკანასკნელის 2008 წლის 11 აპრილის ¹05-04/3469 გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის ¹7762 ბრძანება. ამასთან, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას განემარტა მისი გასაჩივრების წესი და ვადა, რაც ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას ჩაჰბარდა 2008 წლის 14 აპრილს. აღნიშნულის შემდეგ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სარჩელი აღძრა კანონით დადგენილ 9-დღიან ვადაში, მაგრამ სასამართლოში მოსარჩელეს არ მოუთხოვია დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული მოთხოვნა დაყენებულ იქნა სააპელაციო სასამართლოში, რაც საგადასახადო კოდექსის 160.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის დარღვევას წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას სადავო საგადასახადო მოთხოვნები ჩაჰბარდა 2007 წლის 30 აგვისტოს, დავის გაგრძელების ფორმად ამ უკანასკნელმა აირჩია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემა, მაგრამ აქტები გაასაჩივრა 2007 წლის 21 სექტემბერს, 1 დღის დაგვიანებით, შემოსავლების სამსახურის ¹7762 ბრძანება გაასაჩივრა 2007 წლის 17 დეკემბერს, 12 დღის დაგვიანებით, ხოლო დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება – 2008 წლის დეკემბერში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ყველა ეტაპზე გასაჩივრების ვადების დარღვევის გამო, სასამართლოში აღძრული სარჩელიც მიიჩნია დაუშვებლად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.3 მუხლით განსაზღვრული ერთთვიანი ვადის დარღვევის მოტივით.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საგადასახადო კოდექსის 61-ე მუხლით, "ფიზიკური და იურიდიული პირების, მათი ფილიალების (წარმომადგენლობების) და გადასახადის სხვა გადამხდელების სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის წესის შესახებ" ინსტრუქციით და მიიჩნია, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას მითითებული ინსტრუქციის მოთხოვნის შესაბამისად, არ უცნობებია საგადასახადო ორგანოსათვის საგადასახადო აღრიცხვის ფორმაში მოცე-

მული ინფორმაციის კონკრეტული ცვლილების თაობაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ვალდებულების სუბიექტად მიიჩნია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის 65¹ მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინების გაუქმება შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სარჩელის დაუშვებლად მიჩნევის თაობაზე.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანება ჩაპ-ბარდა 2007 წლის 5 დეკემბერს, რაც გამგეობამ გაასაჩივრა დავების განხილვის საბჭოში 2008 წლის 7 დეკემბერს. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა 17 დეკემბერი.

კერძო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ საგადასახადო კოდექსის მე-80 და 146.6 მუხლების შესაბამისად, სარჩელის დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევა არ მომხდარა.

გარდა აღნიშნულისა, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას არასწორად განემარტა მისი გასაჩივრების წესი, კერძოდ, გადაწყვეტილებაში მითითებულ იქნა მისი გასაჩივრების შესაძლებლობა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ნაცვლად პირველი ინსტანციის სასამართლოსი, რამაც განაპირობა სარჩელის განსხვავებულ ვადაში შეტანა სასამართლოში.

ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის 105-04/3469 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას სარჩელი აქვს აღძრული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

მოწინააღმდეგე მხარეებმა არ ცნეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი და მოიხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების, მხარეთა განმარტებების მოსმენისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, დასაბუთებულია კერძო საჩივარში ჩამოყალიბებული არგუმენტები საპროცესო დარღვევების შესახებ, რაც სსსკ-ის 393-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 394-ე მუხლის "ე", "ე¹" ქვეპუნქტების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ მისი მსჯელობის საგანს წარმოადგენდა მოსარჩელე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტრანსფორმირებული სასარჩელო მოთხოვნა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია საპროცესო ნორმები. საქმის მასალების თანახმად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა სარჩელით ითხოვდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 12 ივნისის 11356, 1395, 1416, 1390, 1392, 14 ივნისის 11573, 16 ივნისის 11785, 1788, 1754, 1784, 20 ივნისის 11707, 1668, 1665, 25 ივნისის 11867, 1858, 1563, 2673 და 27 ივნისის 12595 საგადასახადო მოთხოვნების ბათილად ცნობას. სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების სტადიაზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სსსკ-ის 279-ე მუხლის "დ" პუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეჩერება იმ მოტივით, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას შეტანილი ჰქონდა სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ, მესამე პირის – ქუთაისის რეგიონალური ცენტრის მონაწილეობით, რომლითაც ითხოვდა საქართველოს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის 105-04/3469 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჩივარი ზემოთ მითითებული საგადასახადო მოთხოვნების ბათილად ცნობის თაობაზე. შესაბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა ითხოვდა საქმის წარმოების შეჩერებას მითითებული დავის გადაწყვეტამდე, მაგრამ საქმის მასალებით გაურკვეველია იმსჯელა თუ არა სააპელაციო სასამართლომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შუამდგომლობაზე საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, თუ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა აღძრულ შუამდგომლობაზე, რითაც სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 215-ე მუხლის მოთხოვნა, რომელიც ავალდებულებს საქმის განმხილველ სასამართლოს იმსჯელოს მხარის მიერ აღძრულ შუამდგომლობაზე. გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 დეკემბრის სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებულია, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოახდინა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირება და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის 105-04/3469 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რაც არ გაიზიარეს მხარეებმა. სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია და არ უმსჯელია, გაიზიარა თუ არა მოთხოვნის ტრანსფორმირება, ამასთან, სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მოუხდენია იმ გარემოების, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის 105-04/3469 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის დაყენება წარმოადგენდა თუ არა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლის შესაბამისად მოთხოვნის ტრანსფორმირებას. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითა, რომ საქმეს იხილავდა ტრანსფორმირებული სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებაში.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, რადგან სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით ისე იმსჯელა სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობაზე, რომ არ განუსაზღვრავს დავის საგანი, არ უმსჯელია მოსარჩელის შუამდგომლობაზე მოთხოვნის ტრანსფორმირებასთან დაკავშირებით. ამასთან, არ შეუფასებია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის 105-04/3469 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნის დაყენება წარმოადგენდა თუ არა სასარჩელოს ტრანსფორმირებას, რადგან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით მოსამართლეს შეუძლია, დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სასარჩელოს მოთხოვნის ტრანსფორმირების პროცესუალური შესაძლებლობა გაგებულ უნდა იქნას ამგვარად, რომ კანონმდებელმა სიტყვა "ტრანსფორმაცია" მიანიჭა სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც განმარტებულ უნდა იქნას თავად მისი შინაარსიდან გამომდინარე. ტრანსფორმაცია გულისხმობს გარდაქმნას, სახეცვლილებას, შეცვლას, შესაბამისად, ტერმინის სამართლებრივი კონტექსტი ნიშნავს სასარჩელო მოთხოვნის გარდაქმნას, სახეცვლილებას, შეცვლას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლი ემსახურება პროცესის ეკონომიის პრინციპის რეალიზაციას, რაც ადმინისტრაციულ სასარჩელო მიმართებაში გულისხმობს ადმინისტრაციული სასარჩელოს სახის – რაც განისაზღვრება სწორედ სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით, გარდაქმნის, სახეცვლილების, შეცვლის შესაძლებლობას. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის მიხედვით, სასამართლო ამოწმებს განმწესრიგებელ სხდომაზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებთან ადმინისტრაციული სასარჩელოს შესაბამისობის საფუძვლებს. სასარჩელოს სახის შეუსაბამობის პირობებში მოსამართლეს ენიჭება პროცესუალური უფლებამოსილება ოფიციალობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუთითოს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის, ანუ სასარჩელოს ერთი სახის სხვა სახის სასარჩელოდ გარდაქმნისაკენ. ვინაიდან სასარჩელოს დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში მოსარჩელე ინარჩუნებს საპროცესო უფლებას აღძრას სხვა სახის სასარჩელო და სწორედ პროცესის ეკონომიის პრინციპს ემსახურება სასარჩელოს სახის გარდაქმნის, სახეცვლილების შესაძლებლობა, აგრეთვე, დაბალი სამართლებრივი კულტურის პირობებში შესაძლებელია, მოსარჩელემ კვალიფიციურად ვერ ჩამოაყალიბოს მოთხოვნა, ანუ მაგ. მოსარჩელე ითხოვს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას, რაც ზოგადი მოთხოვნაა და საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით საჭიროებს მოთხოვნის ფორმულირებას, დაზუსტებას, ვინაიდან აქტის გაუქმება მოიცავს როგორც მის ბათილად, ასევე, ძალადა-

კარგულად გამოცხადებასაც და ა.შ. სწორედ სარჩელის მოთხოვნის ზუსტი პროცესუალური ფორმულირება განსაზღვრავს დავის გადაწყვეტის მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სარჩელის ტრანსფორმაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა გაიგივდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სარჩელის საგნის შეცვლის, გადიდების საპროცესო უფლებასთან, ვინაიდან აღნიშნული საპროცესო უფლება თვისობრივად განსხვავდება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილ დავების სპეციფიკურ ნორმათა ერთობლიობაში გათვალისწინებული საგამონაკლისო პროცესუალური ინსტიტუტებისაგან. სწორედ ამ პროცესუალურ თავისებურებათა გამო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან მიმართებაში ნეგატიური დათქმის პრინციპზე აგებულ საკანონმდებლო აქტს.

დასკვნის სახით: მოთხოვნის ტრანსფორმირება გულისხმობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით განსაზღვრული ადმინისტრაციული სარჩელის სახეების ფარგლებში ერთი სახის სარჩელის შეცვლას სხვა სახის სარჩელით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ მომხდარა, რადგან მოსარჩელე ითხოვდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – საგადასახადო მოთხოვნების ბათილად ცნობას და სააპელაციო სასამართლოში მოითხოვა ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის 105-04/3469 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული წარმოადგენს არა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირებას, არამედ ფორმალური თვალსაზრისით სასარჩელო მოთხოვნის გაზრდას, რის თაობაზეც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა აწესებს გარკვეულ დანაწესს, კერძოდ, სსკ-ის 381-ე მუხლის შესაბამისად, დავის საგნის გაზრდა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია. თუმცა სააპელაციო სასამართლომ სათანადო სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს იმ გარემოებას, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა სარჩელით ითხოვდა რა მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნების ბათილად ცნობას და არ ჰქონდა დაყენებული მოთხოვნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის 105-04/3469 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, რომლებითაც უარი ეთქვა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას აღნიშნული საგადასახადო მოთხოვნების ბათილად ცნობის შესახებ საჩივრის დაკმაყოფილებაზე, აღნიშნული, თავისი არსით წარმოადგენს თუ არა კლასიკური გაგებით სასარჩელო მოთხოვნის გაზრდას, თუ საგადასახადო კოდექსის 146.6 მუხლის შესაბამისად, საგადასახადო მოთხოვნების გასაჩივრების პირობებში სასამართლოს ენიჭებოდა უფლებამოსილება სარჩელის ფარგლებშიც ემსჯელა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის 105-04/3469 გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მითითებულ გარემოებებზე, სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცა მხარის მიერ აღძრული შუამდგომლობისათვის და მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრის შემდეგ ემსჯელა სარჩელის დასაშვებობაზე.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა რა სარჩელის დასაშვებობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის 105-04/3469 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ნაწილშიც, სარჩელი მიიჩნია დაუშვებლად საგადასახადო კოდექსის 160.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით დადგენილი სარჩელის წარდგენის 9-დღიანი ვადის დარღვევის გამო, რადგან დადგენილად მიიჩნია, რომ დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას ჩაჰბარდა 2008 წლის 14 აპრილს, რომელმაც, მართალია, სარჩელი სასამართლოში აღძრა საგადასახადო კოდექსის 160.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით დადგენილი 9-დღიანი ვადის დაცვით, მაგრამ სადავო აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში, რითაც სააპელაციო სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია გასაჩივრების ვადა. სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას ჩაჰბარდა 2007 წლის 5 დეკემბერს, რაც გაასაჩივრა 17 დეკემბერს დავების განხილვის საბჭოში, საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლით დადგენილი 5-დღიანი ვადის დარღვევით. აღნიშნულთან დაკავშირებით, კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 17762 ბრძანება გაასაჩივრა არა 17 დეკემბერს, არამედ 7 დეკემბერს და სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია, თუ რის საფუძველზე დაადგინა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დავების განხილვის საბჭოში საჩივრის შეტანის ვადა. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ

დავების განხილვის საბჭომ 2008 წლის 11 აპრილის 105-04/3469 გადაწყვეტილებით არასწორად განმარტა მისი გასაჩივრების წესი, რადგან ნაცვლად პირველი ინსტანციისა, მიუთითა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობაზე, რამაც გავლენა მოახდინა გასაჩივრების ვადაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც სარჩელის დასაშვებობაზე იმსჯელა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის 17762 ბრძანებისა და დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის 105-04/3469 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ნაწილშიც, სარჩელის დასაშვებობის შემოწმებისას სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მითითებულ გარემოებაზე, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესის არასწორი განმარტება გავლენას ახდენს თუ არა გასაჩივრების ვადაზე, რადგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52.2 მუხლის შესაბამისად, კანონიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ორგანო, რომელშიც შეიძლება მისი გასაჩივრება, მისამართი, საჩივრის (ან სარჩელის) შეტანის ვადა. კონკრეტულ შემთხვევაში, დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით განმარტა მისი გასაჩივრების შესაძლებლობა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და არა საქალაქო სასამართლოში. ამდენად, ამ ვითარებაში, არასწორადაა განმარტებული სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გასაჩივრების წესი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ, რაც გავლენას ახდენს აქტის გასაჩივრების ვადის ათვლაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს კანონიერი ნდობა.

კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომის და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილში გასაჩივრების უფლების განმარტებისას დაშვებულია არსებითი ხასიათის შეცდომა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ დაუშვა სამართლებრივი შეცდომა აქტის გასაჩივრების უფლების განმარტებისას, ხოლო, დაინტერესებული პირი სარგებლობს, აღჭურვილი და დაცულია კანონიერი ნდობის ინსტიტუტით, იგი უფლებამოსილია, აქტი გასაჩივროს იმ წესით და ვადაში, როგორც ეს ადმინისტრაციულმა ორგანომ განუმარტა.

საწინააღმდეგო განმარტების პირობებში, ადმინისტრაციულ ორგანოს ყოველთვის შეუძლია არასწორად განუმარტოს, ანუ შეცდომაში შეიყვანოს პირი, რაც სავსებით გამორიცხავდა საჩივრის ან სარჩელის წარდგენის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაშვებული სამართლებრივი შეცდომა არ უნდა გახდეს პირის სარჩელის დასაშვებობის დამაბრკოლებელი მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული არ არის ამავე კოდექსის 52.2 მუხლით დადგენილი წესის დარღვევის სამართლებრივი შედეგი, რაც საკანონმდებლო ხარვეზით უნდა აიხსნას, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართლის დოქტრინის საფუძველზე შესაძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემის პროცესზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლით დადგენილი წესის გავრცელება, რომლის მიხედვით, თუ მხარეს არ განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, გასაჩივრების ვადა და წესი, ან არასწორად განემარტა იგი, მაშინ გასაჩივრება შეიძლება აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინება მიღებულია საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, ხოლო კერძო საჩივარი დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კრიტიკის ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებებზე საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების დასადგენად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

¹ბ-1760-4(გან-09) 8 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ცისკაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ვ. ბ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებისა და 23 აპრილის ¹ბს-1708-1662(კ-08) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 23 ოქტომბერს და 12 ნოემბერს ვ. ბ-შვილმა სასარჩელო და დაზუსტებული სასარჩელო განცხადებებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ ზემოთ მითითებული დავალიანებისა და სანივთე ქონების კომპენსაციის გადახდა დაკისრებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 1998-2000 წლების დარიცხული სახელფასო დავალიანების – 1930,03 ლარისა და 2004-2006 წლების ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონების კომპენსაციის – 921,12 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ვ. ბ-შვილისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგის 2008 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება ვ. ბ-შვილისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის – 826 ლარის ვ. ბ-შვილისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის განხილვა დაშვებულ ნაწილში დაინიშნა 2009 წლის 23 აპრილს მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ კვების კომპენსაციის ნაწილში დაკმაყოფილდა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება ვ. ბ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის – 826 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. ბ-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის თანხის – 826 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

2009 წლის 3 ივნისს ვ. ბ-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებისა და 23 აპრილის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა, კერძოდ, მის სასარგებლოდ რა ოდენობით თანხის ანაზღაურება დაეკისრა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ვ. ბ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებისა და 23 აპრილის 1ბს-1708-1662(კ-08) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ აღნიშნული კოდექსით სხვა წესი არ არის დადგენილი, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, რათა დაბრკოლება არ შეექმნას მხარის უფლების რეალიზაციას, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანასა და მოსარჩელისათვის მიკუთვნებული თანხის რეალურად მიღებას, უნდა განიმარტოს საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის – ვ. ბ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მიუღებელი სახელფასო დავალიანების 1930,03 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის – 921,12 ლარის ანაზღაურება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება ვ. ბ-შვილისათვის ხელფასის თანხის, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით კი გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება ვ. ბ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის – 826 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ბ-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის თანხის – 826 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ამდენად, საკასაციო სასამართლომ სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებები შეცვალა მხოლოდ კვების კომპენსაციის ნაწილში, ხოლო დანარჩენი თანხის, სახელფასო დავალიანების – 1104,03 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის – 921,12 ლარის ანაზღაურების ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება არ შეცვლილა და შესულია კანონიერ ძალაში საქარ-

თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტისა და მეორე ნაწილის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ვ. ბ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებისა და 23 აპრილის ¹ბს-1708-1662(კ-08) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინება და 23 აპრილის ¹ბს-1708-1662(კ-08) გადაწყვეტილება განიმარტოს შემდეგნაირად: მოსარჩელე – ვ. ბ-შვილისათვის ასანაზღაურებელი თანხა, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, შეადგენს სახელფასო დავალიანება – 1104,03 ლარს, ხოლო სანივთე ქონების კომპენსაცია – 921,12 ლარს, რომლის ანაზღაურებაც დაეკისრა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

¹ბს-1543-2(გან-09) 11 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. ი-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ი-შვილისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ნ. ი-შვილის შრომითი მოწყობის თაობაზე; ნ. ი-შვილს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური 2004 წლის 15 მარტიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, ხოლო ნ. ი-შვილის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

2009 წლის 14 მაისს ნ. ი-შვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელშიც მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალა, მისი სამსახურში მოწყობის თაობაზე გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან 2004 წლის 14 მარტიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, რაც განხორციელდა 2008 წლის 8 იანვარს და იგი აღდგენილ იქნა სამსახურში.

განმცხადებლის განმარტებით, მართალია 2007 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით შეიცვალა სააკვაციო სასამართლოს 2006 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება და მისი სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მაგრამ მასში "ხელფასი" ნახსენები არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვდა განმარტებას, იძულებითი განაცდური მოიცავდა თუ არა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლში აღნიშნულ ხელფასს სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ნ. ი-შვილის განცხადების გაცნობისა და განცხადების სამართლებრივი საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 7 მაისის 1ბს-893-855-კ-06 გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ი-შვილისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: თბილისის სააკვაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალი ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ნ. ი-შვილის შრომითი მოწყობის თაობაზე; ნ. ი-შვილს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური 2004 წლის 15 მარტიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, ხოლო ნ. ი-შვილის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, "სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში".

ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს განმარტოს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების მე-3 ნაწილში მითითებული იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაში იგულისხმება ხელფასის ანაზღაურება 2004 წლის 15 მარტიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ი-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის 1ბს-893-855-კ-06 გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის 1ბს-893-855-კ-06 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი – "ნ. ი-შვილს აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური 2004 წლის 15 მარტიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე" – განიმარტოს იმგვარად, რომ იძულებითი განაცდურში იგულისხმება ხელფასის ანაზღაურება 2004 წლის 15 მარტიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

1ბს-1733-3(გან-09)

11 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ზეპირი განხილვის გარეშ, განიხილა ნ. ი-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ი-შვილისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ნ. ი-შვილის შრომითი მოწყობის თაობაზე; ნ. ი-შვილს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური 2004 წლის 15 მარტიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, ხოლო ნ. ი-შვილის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სამსახურში მოწყობის ნაწილში აღსრულებულ იქნა 2008 წლის 8 იანვარს, ხოლო განაცდურის ანაზღაურების ნაწილში ჯერ არ აღსრულებულა.

განმცხადებლის განმარტებით, მან 2008 წლის 11 იანვარს, სამსახურში აღდგენის შემდეგ, მიმართა შემოსავლების სამსახურს, რომ ეცნობებინათ, თუ რამდენს შეადგენდა იძულებითი განაცდური სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე – 2004 წლის 15 მარტიდან 2008 წლის 8 იანვრამდე. შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 22 იანვრის 16-04/1230 წერილიდან მისთვის ცნობილი გახდა, რომ იძულებითი განაცდური შეადგენდა 18410 ლარს, ხოლო საშემოსავლო გადასახადის გადახდა უნდა განხორციელებულიყო კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული თანხა დაანგარიშებულ იქნა ყოველი კონკრეტული წლის მიხედვით, რის შემდეგაც მიმართა სასამართლო აღმასრულებელს, რათა მოეხდინა აღსრულება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვერ ხერხდებოდა იმის განსაზღვრა განაცდური თანხა 18410 ლარი უნდა დაიბეგროს 12%-იანი თუ 25%-იანი საშემოსავლო განაკვეთით, რადგან 2008 წლიდან საშემოსავლო გადასახადის ოდენობა განსაზღვრა 25%-ით. აღნიშნულიდან გამოდინარე, რამდენჯერმე მიმართა შემოსავლების სამსახურს, ეცნობებინათ, თუ რამდენს შეადგენდა მისი ხელზე ასაღები თანხა და ყოველთვის იღებდა ერთსა და იგივე პასუხს, რომ შემოსავლების სამსახურმა მიმართა ფინანსთა სამინისტროსა და შესაბამისი ინსტანციის სასამართლოებს იმის განმარტებისათვის, თუ როგორ და რა წესით უნდა მომხდარიყო იძულებითი განაცდური თანხის – 18410 ლარის საშემოსავლო დაბეგვრა და რომ მათ არ შეეძლოთ ეცნობებინათ, თუ რამდენს შეადგენდა ხელზე ასაღები თანხა, რადგან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით არ ჰქონდათ მიღებული სათანადო განმარტება. განმცხადებლის განმარტებით, შემოსავლების სამსახური იძულებითი განაცდური თანხის დაანგარიშებას და მის ოდენობას კი არ ხდიდა სადავოდ და დაუდგენლად, არამედ ვერ საზღვრავდა, თუ რა საპროცენტო განაკვეთით დაებეგრა უკვე დაანგარიშებული იძულებითი განაცდური თანხა და რამდენი დარჩებოდა ხელზე ასაღები.

შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 19 თებერვლის 16-05/4585 წერილით ცნობილი გახდა, რომ მისი იძულებითი განაცდური (2004 წლის 15 მარტიდან 2008 წლის 8 იანვრამდე) ახალი გაანგარიშების შედეგად გამოვიდა 1693 ლარი, ხოლო საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი დაბეგვრით ხელზე მისაღები თანხა დარჩა 1354 ლარი. განმცხადებლის მითითებით, მისთვის გაუგებარია, როგორ იქნა მიღებული აღნიშნული თანხა, მაშინ, როდესაც შემოსავლების სამსახურის ზემოაღნიშნული წერილის თანახმად და მათივე აღიარებით იძულებითი განაცდური თანხა შეადგენდა 18410 ლარს.

განმცხადებლის განმარტებით, მან კვლავ მიმართა შემოსავლების სამსახურს ეცნობებინა, რას შეადგენდა თითოეული წლის მიხედვით ხელფასი და თანამდებობრივი სარგო საბაჟო გაფორმების ინსპექტორებისათვის რეგიონალური საბაჟო "დასავლეთის" ქუთაისის განყოფილებაში და ფოთის საბაჟოზე.

2009 წლის 14 აპრილის 16-05/11188 წერილით ეცნობა, რომ საბაჟო გაფორმების ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო 2004 წელს შეადგენდა 37 ლარს, ხოლო 2005, 2006 და 2007 წლებში – 500 ლარს, ხოლო ხელფასის ოდენობა არ უცნობებიათ. აღმოჩნდა, რომ ზემოაღნიშნული თანხა – 18410 ლარი დაანგარიშებული იქნა მხოლოდ და მხოლოდ თანამდებობრივი სარგოს მიხედვით ყოველი წლის შესაბამისად. სწორედ ეს თანხა არის მისი იძულებითი განაცდური, ხოლო მისი საშემოსავლო გადასახადის 20%-ით დაბეგრით მიღებული თანხა – 14728 ლარი იქნება ხელზე მისაღები თანხა. ამდენად გაუგებარია, თუ რომელია სწორი.

აღნიშნულიდან გამომდინარე განმცხადებელი ითხოვდა განმარტებას, ზემოაღნიშნული იძულებითი განაცდურისა და ხელზე მისაღები თანხის დაანგარიშებიდან რომელი იყო სწორი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ნ. ი-შვილის განცხადების გაცნობისა და განცხადების სამართლებრივი საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 7 მაისის 1ბს-893-855-კ-06 გადაწყვეტილების ხელფასის ოდენობის დაანგარიშების განმარტების თაობაზე და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ აღსრულებულა და თუ არ გავიდა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

საკასაციო სასამართლო განმცხადებლის ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსს და განმარტავს, რომ მითითებული ნორმა მიზნად ისახავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტებას იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების მითითებული ნაწილი არ არის ცალსახად, გარკვევით და ნათლად ჩამოყალიბებული, შეიცავს ურთიერთ გამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს. ამასთან, განმარტების ძირითად და მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არსებითად პასუხობს სარჩელის ყველა მოთხოვნას, არ შეიცავს ბუნდოვან და შეუსაბამო დებულებებს, რის გამოც არ არსებობს მისი განმარტების პროცესუალური საჭიროება.

რაც შეეხება ნ. ი-შვილის მოთხოვნას, სასამართლომ განმარტოს, იძულებითი განაცდურისა და ხელზე მისაღები თანხის დაანგარიშებიდან რომელია სწორი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სცილდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით სასამართლოსათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს – განმარტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და არსებითად მიეკუთვნება სხვა დავის საგანს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ი-შვილს უარი უნდა ეთქვას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის 1ბს-893-855-კ-06 გადაწყვეტილების განმარტებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ი-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის 1ბს-893-855-კ-06 გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

1ბ-2036-6(გან-09)

12 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ცისკაძე

უკუირი მოსმენის გარეშე განიხილა ბ. გ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განჩინებისა და 28 მაისის 1ბ-132-127(კ-09) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 23 იანვარს ბ. გ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის სახელფასო დავალიანების – 1113,03 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ბ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბ. გ-შვილის სასარგებლოდ 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების – 1113,03 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ბ. გ-შვილისათვის სახელფასო დავალიანების – 396,23 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 აპრილის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბ. გ-შვილის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 396,23 ლარის ანაზღაურება დაეკისრა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის – 716,8 ლარის ბ. გ-შვილისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის განხილვა დაშვებულ ნაწილში დაინიშნა 2009 წლის 28 მაისს მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებული – კვების კომპენსაციის ნაწილში დაკმაყოფილდა – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 აპრილის განჩინება ბ. გ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის – 716,8 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. გ-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის თანხის – 716,8 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

2009 წლის 8 ივლისს ბ. გ-შვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განჩინებისა და 28 მაისის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა, კერძოდ, რა ოდე-

ნობით თანხის ანაზღაურება დაეკისრა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბ. გ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განჩინებისა და 28 მაისის 13ს-132-127(კ-09) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ აღნიშნული კოდექსით სხვა წესი არ არის დადგენილი, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების განმარტების პროცესუალური წინაპირობა, რადგან მითითებული ნორმა სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, განმარტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია. ამდენად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს სასამართლოს მიერ მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განმარტების წესსა და პირობებს და ამგვარი უფლებამოსილებით აღჭურავს სასამართლოს იმ პირობების არსებობისას, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები, შესაბამისად, გადაწყვეტილების განმარტება ემსახურება მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზანს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ბ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბ. გ-შვილის სასარგებლოდ 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების – 1113,03 ლარის ანაზღაურება დაეკისრა, რაც უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 აპრილის განჩინებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განჩინებით კი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ბ. გ-შვილისათვის ხელფასის – 396,23 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 აპრილის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბ. გ-შვილის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 396,23 ლარის ანაზღაურება დაეკისრა. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის – 716,8 ლარის ბ. გ-შვილისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2009 წლის 28 მაისს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება შეცვალა მხოლოდ კვების კომპენსაციის ნაწილში, ანუ საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილება შეეხო მოთხოვნის მხოლოდ ნაწილს – კვების კომპენსაციას 716,8 ლარის ნაწილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ბ. გ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განჩინებისა და 28 მაისის 13ს-132-127(კ-09) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ბ. გ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განჩინებისა და 28 მაისის 1ბს-132-127(კ-09) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

1ბ-1971-5(გან-09)

13 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა:
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 23.03.08წ. გადაწყვეტილების განმარტების შესახებ

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 23.03.09წ. გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის განმარტება. საკასაციო პალატის 23.03.09წ. გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის თანახმად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა ნ. გ-იასთვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება 2004 წლის 30 ივნისიდან 2007 წლის 15 იანვრამდე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 15 იანვრის 11 ბრძანებით სამსახურიდან მისი გათავისუფლებულად ჩათვლის დროს არსებული ხელფასის ოდენობის მიხედვით. განმცხადებელი თვლის, რომ პრემია არის ინდივიდუალურად გადასაწყვეტი წახალისების ფორმა, რომლის ოდენობა გათვალისწინებულია "სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის დროებითი საშტატო განრიგით 2004 წლისათვის" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 24 მაისის 118/ო ბრძანებით და ითხოვს განმარტებას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს თუ არა იგი ნ. გ-იას განაცდური ხელფასის გაანგარიშებისას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის 1ბს-1502-1459 (კ-08) გადაწყვეტილების განმარტებას მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ხსენებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი უნდა განმარტდეს შემდეგნაირად:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 23.03.09წ გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა აუნაზღაუროს ნ. გ-იას განაცდური ხელფასი 2004 წლის 30 ივნისიდან 2007 წლის 15 იანვრამდე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2007 წლის 15 იანვრის 11 ბრძანებით სამსახურიდან მისი გათავისუფლებულად ჩათვლის დროს არსებული ხელფასის ოდენობის მიხედვით. პალატა თვლის, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების არსი გამოორიცხავს ისეთ ანაზღაურებას, როგორცაა შრომითი შედეგების მიხედვით დაჯილდოვების თანხების (პრემიის) ანაზღაურება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ამ კოდექსით სხვა წესი არ არის დადგენილი, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. გ-იასათვის იძულებითი განაც-

დურის განგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ის ანაზღაურება, რომელსაც იგი მიიღებდა განთავისუფლებულად მიჩნევის დღისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სასკ-ის I-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სასკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 262-ე, 285-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის ¹ბს-1502-1459 (კ-08) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი განიმარტოს იმგვარად, რომ ნ. გ-იას იძულებითი განაცდური დაანგარიშებულ იქნეს მისი განთავისუფლებულად მიჩნევის დღისათვის არსებული სახელფასო განაკვეთით, პრემიის ოდენობის გათვალისწინების გარეშე;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

¹ბს-726-691(კს-09) 13 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგამე

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 23 იანვარს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე შპს "...-ის" მიმართ, რომლითაც სახელმწიფო ქონების მართვის ქუთაისის სამმართველოსა და მოპასუხეს შორის გაფორმებული (2000 წლის 11 ოქტომბრის ¹1100, 1998 წლის 21 აგვისტოს ¹875, 1998 წლის 21 აგვისტოს ¹877, 2000 წლის 14 მარტის ¹1044, 1998 წლის 21 აგვისტოს ¹874) საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმება, ზემოაღნიშნული ფართებიდან მოპასუხის გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და საიჯარო ქირის დავალიანების – 45265,27 აშშ დოლარის გადახდის დროისათვის არსებული კურსით ეროვნულ ვალუტაში (მათ შორის, საურავის – 33130,78 აშშ დოლარის) ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს სარჩელი დაკმაყოფილდა;

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "...-მა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და შესაბამისი სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ივნისის სხდომაზე შპს "...-ის" წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმებოდა 2029,25 აშშ დოლარის მისთვის დაკისრებას, ... ქ. ¹30-სა და ... ქ. ¹31/35-ში მდებარე ფართებზე სარჩელს ცნობდა, რის გამოც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "...-ის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება; სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს სარჩელი ქ. ქუთაისში, ... ქ. ¹33-სა და ... ქ.

123-ში მდებარე არასაცხოვრებელ ფართებზე შპს "...-სთვის" იჯარის ქირის დაკისრებისა და ამ ფართებიდან შპს "...-ის" გამოსახლების ნაწილში არ დაკმაყოფილდა; ქ. ქუთაისში, ... ქ. 11-ში მდებარე არასაცხოვრებელ ფართზე იჯარის ქირის დაკისრებისა და ამ ფართიდან გამოსახლების თაობაზე შპს "...-ის" მიმართ სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება 7667,73 აშშ დოლარის საიჯარო ქირის დავალიანებისა და გამოსახლების ნაწილში; სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს სარჩელი დაკმაყოფილდა ქ. ქუთაისში, ... ქ. 130-ში მდებარე არასაცხოვრებელ 30 კვ.მ-სა და 27,45 კვ.მ-ზე, ... ქ. 131/35-ში მდებარე არასაცხოვრებელ 178,81 კვ.მ-ზე საიჯარო ქირის დაკისრებისა და ამ ფართებიდან გამოსახლების ნაწილში; სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს სარჩელი დაკმაყოფილდა, აგრეთვე, ქ. ქუთაისში, ... ქ. 11-ში მდებარე არასაცხოვრებელ 171,92 კვ.მ-ზე 2002 წლის 5 ივლისის შემდეგ საიჯარო ქირის დაკისრების ნაწილში; შპს "...-ს" სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს სასარგებლოდ დაეკისრა 2029,25 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; შპს "...-ს" გამოსახლებულ იქნა ქ. ქუთაისში, ... ქ. 130-ში მდებარე 30 კვ.მ და 27,45 კვ.მ, ... ქ. 131/35-ში მდებარე 178,81 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართებიდან.

2008 წლის 23 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველომ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების განმარტება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად. ვინაიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს სარჩელი ქ. ქუთაისში, ... ქ. 130-ში მდებარე არასაცხოვრებელ 30 კვ.მ-სა და 27,45 კვ.მ-ზე, ... ქ. 131/35-ში მდებარე არასაცხოვრებელ 178,81 კვ.მ-ზე საიჯარო ქირის დაკისრებისა და ამ ფართებიდან გამოსახლების ნაწილში, აღნიშნული ნიშნავდა თუ არა იმას, რომ შპს "...-ს" დაეკისრა ხსენებული სამმართველოს მიერ მოთხოვნილი საიჯარო ქირის დავალიანება _ ქ. ქუთაისში, ... ქ. 130-ში მდებარე არასაცხოვრებელ 30 კვ.მ-ზე _ 2030,0 აშშ დოლარის ოდენობით (საიჯარო ქირის დავალიანება _ 848,90 აშშ დოლარი და მასზე დარიცხული საურავი _ 2600,09 აშშ დოლარი), ... ქ. 130-ში მდებარე არასაცხოვრებელ 27,45 კვ.მ-ზე _ 3448,9 აშშ დოლარის ოდენობით (საიჯარო ქირის დავალიანება _ 731,13 აშშ დოლარი და მასზე დარიცხული საურავი _ 1298,87 აშშ დოლარი) და ... ქ. 131/35-ში მდებარე არასაცხოვრებელ 178,81 კვ.მ-ზე _ 2470,05 აშშ დოლარის ოდენობით (საიჯარო ქირის დავალიანება _ 1402,37 აშშ დოლარი და მასზე დარიცხული საურავი _ 1608,13 აშშ დოლარი), ხოლო იმავე გადაწყვეტილებაში მითითებული შპს "...-სთვის" დასახელებული სამმართველოს სასარგებლოდ 2029,25 აშშ დოლარის დაკისრება ეხებოდა თუ არა ქ. ქუთაისში, ... ქ. 11-ში მდებარე ფართით სარგებლობისათვის გადასახდელ თანხას. ამასთან, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ხსენებული გადაწყვეტილება არ იყო აღსრულებული და არ იყო გასული ამ გადაწყვეტილების აღსრულების დრო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოს განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ, დაკმაყოფილდა; გადაწყვეტილება განიმარტა იმგვარად, რომ შპს "...-ს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საიჯარო ქირის _ 2029,25 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა და, შესაბამისად, იგი შევიდა კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლომ, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "...-ის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა აპელანტის არგუმენტები და მოთხოვნები და მოპასუხეს დააკისრა მხოლოდ იმ თანხის გადახდა, რომლის გადახდის ვალდებულებასაც იგი სააპელაციო სასამართლოში აღიარებდა. ხსენებული გადაწყვეტილების, როგორც სარეზოლუციო, ისე სამოტივაციო ნაწილებში აღნიშნული იყო, რომ შპს "...-ს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ აღიარებული ვალის შესაბამისი თანხა _ 2029,25 აშშ დოლარი. სამოტივაციო ნაწილში სააპელაციო სასამართლო ცალსახად მიუთითებდა, რომ შპს "...-ს" მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 2029,25 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "...-ის" მიმართ საქმის წარმოება შეწყდა ქ. ქუთაისში, ... ქ. ¹¹-ში მდებარე არასაცხოვრებელ ფართზე საიჯარო ქირის დაკისრებისა და ამ ფართიდან გამოსახლების თაობაზე, საიჯარო ქირის დავალიანების – 7667,73 აშშ დოლარის და გამოსახლების ნაწილში იმ მოტივით, რომ არსებობდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 5 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე დავაზე, იმავე მხარეებს შორის და იმავე საფუძველით. სააპელაციო სასამართლომ 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა, აგრეთვე, ქ. ქუთაისში, ... ქ. ¹¹-ში მდებარე არასაცხოვრებელ 171,92 კვ.მ-ზე 2002 წლის 5 ივლისის შემდეგ საიჯარო ქირის გადახდის დაკისრების ნაწილში, თუმცა საიჯარო ქირის ოდენობა ყველა სასარჩელო მოთხოვნაზე სრულად განსაზღვრა 2029,25 აშშ დოლარით. სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, შეემოწმებინა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, არამედ მას უფლება ჰქონდა, განემარტა გადაწყვეტილება მისი სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადების სრულად დაკმაყოფილება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი. მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება არ არის სწორი და უნდა გაუქმდეს. ვინაიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს სარჩელი ქ. ქუთაისში, ... ქ. ¹³⁰-ში მდებარე არასაცხოვრებელ 30 კვ.მ-სა და 27,45 კვ.მ-ზე, ... ქ. ^{131/35}-ში მდებარე არასაცხოვრებელ 178,81 კვ.მ-ზე საიჯარო ქირის დაკისრებისა და ამ ფართებიდან გამოსახლების ნაწილში, აღნიშნული ადასტურებს იმას, რომ შპს "...-ს" დაეკისრა ხსენებული სამმართველოს მიერ მოთხოვნილი საიჯარო ქირის დავალიანების – ქ. ქუთაისში, ... ქ. ¹³⁰-ში მდებარე არასაცხოვრებელ 30 კვ.მ-ზე – 2030,0 აშშ დოლარის, ქ. ქუთაისში, ... ქ. ¹³⁰-ში მდებარე არასაცხოვრებელ 27,45 კვ.მ-ზე 3448,9 აშშ დოლარის ოდენობით და ქ. ქუთაისში, ... ქ. ^{131/35}-ში მდებარე არასაცხოვრებელ 178,81 კვ.მ-ზე 2470,05 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო ქ. ქუთაისში, ... ქ. ¹¹-ში მდებარე ფართით სარგებლობისათვის – 2029,25 აშშ დოლარის ოდენობით გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 მაისის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველოს კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გასაჩივრებული განჩინების გაცნობისა და კერძო საჩივრის მოტივების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

განმცხადებელი გასაჩივრებულ განჩინებას მიიჩნევს უსწოროდ, ვინაიდან თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ქ. ქუთაისში, ... ქ. ¹³⁰-ში მდებარე არასაცხოვრებელი 30 კვ.მ-სა და 27,45 კვ.მ-ზე, ... ქ. ¹³¹⁻³⁵-ში მდებარე არასაცხოვრებელ 178,81 კვ.მ-ზე მხარეებს შორის არსებული იჯარის ხელშეკრულების გაუქმების და დაკავებული ფართებიდან მოპასუხის გამოსახლების ნაწილში, რაც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საიჯარო ქირის დავალიანების, – ფართების შესაბამისად 2030,0 აშშ დოლარის, 2470,05 აშშ დოლარის, ასევე, ქ. ქუთაისში ... ქ. ¹¹-ში მდებარე ფართით სარგებლობისათვის 2029,25 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრებას. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი განმარტა იმგვარად, რომ შპს "...-ს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული ჰქონდა საიჯარო ქირის – 2 029 აშშ დოლარის გადახდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანს სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით განმარტოს გადაწყვეტილება მისი შინაარსის შეუცვლელად. აღნიშნული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ განმარტების სახით არ მოხდეს გადაწყვეტი-

ლების ძირითადი აზრისა და შინაარსის შეცვლა. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა გადაწყვეტილება, ვინაიდან ქუთაისის სააპელაციო პალატის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით მოპასუხე – შპს “. . .-ს” სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს სასარგებლოდ დაეკისრა 2029,5 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის დანარჩენი პუნქტებით სხვა რაიმე თანხის გადახდის ვალდებულება მოპასუხეს არ დაკისრებია. კერძო საჩივრის, ისევე, როგორც განცხადების მოთხოვნა განიმარტოს გადაწყვეტილება იმ სახით, როგორც ამას მიუთითებს მხარე, თავისი ბუნებით წარმოადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი მოპასუხის ვალდებულების შეცვლას და არა გადაწყვეტილების განმარტებას. ამ სახის მოთხოვნა მხარეს შეეძლო დაეყენებინა არა განცხადების, არამედ – საკასაციო საჩივრის ფორმით კანონით დადგენილი ვადების დაცვით, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ გაუკეთებია.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების იმგვარად განმარტება, რასაც განმცხადებელი ითხოვს, სცილდება გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს და გამოიწვევს გადაწყვეტილების შინაარსის შეცვლას, რის გამოც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

1ბ-2460-8(გან-09) 15 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 15.07.09წ. გადაწყვეტილებით შპს “. . .-ს” საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.09.08წ. გადაწყვეტილება; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 18.08.06წ. ¹1563 ბრძანება, 24.08.06წ. ¹3375 საგადასახადო მოთხოვნა და 10.10.06წ. ¹2572 ბრძანება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) 25.09.09წ. შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

განმცხადებელი განცხადებაში მოითხოვს, რომ განემარტოს, უნდა ჩაითვალოს თუ არა შპს "...-ის" 10.04.04წ. სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურა №146363 მის მიერ 2004 წლის 8 იანვრიდან 2004 წლის 5 აპრილის ჩათვლით შპს "...-ზე" სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულებით მოწოდებულ 91781 კგ საწვავზე გამოწერილად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შუამდგომლობას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 15.07.09წ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და მიაჩნია, რომ არ არსებობს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების განმარტების საფუძველი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება დაიშვება მხოლოდ გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ამასთან, გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად და იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. გადაწყვეტილების განმარტება მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა. გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში განიმარტება, როდესაც მისი შინაარსი არის ბუნდოვანი, გაურკვეველი ან წინააღმდეგობრივი. გაურკვეველობა უნდა ეხებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. სსკ-ის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვნებაა. გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტების მიცემაში პრიორიტეტულია არა მხარის სურვილი, მოისმინოს მიღებული გადაწყვეტილების დამატებითი არგუმენტები, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვნება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 15.07.09წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი და შესაბამისად, იგი არ საჭიროებს განმარტებას, მისი დასაბუთება მოცემულია ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი სავსებით ცხადია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბათუმის რეგიონალურ ცენტრს უარი უნდა ეთქვას გადაწყვეტილების განმარტებაზე, ვინაიდან სსკ-ის 262-ე მუხლი იძლევა გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობას მისი შინაარსის შეუცვლელად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გადაწყვეტილების განმარტების მოტივით, თუნდაც ნაწილობრივ შეცვალოს იგი ან შეეხოს ისეთ საკითხს, რომელიც არ იყო მისი მსჯელობის საგანი.

განმცხადებლის მიმართვა იმის შესახებ, უნდა ჩაითვალოს თუ არა შპს "...-ის" 10.04.04წ. სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურა №146363 მის მიერ 2004 წლის 8 იანვრიდან 2004 წლის 5 აპრილის ჩათვლით შპს "...-ზე" სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულებით მიწოდებულ 91781 კგ საწვავზე გამოწერილად, საკასაციო პალატის აზრით, სცილდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს, მისი გარკვევა ადმინისტრაციის უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება და არ წარმოადგენს სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის სფეროს.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს, მიიჩნიოს, რომ განმცხადებლის შუამდგომლობა გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე უსაფუძველოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 15.07.09წ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

1ბს-1136-1083(კს-08) 15 ოტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.09წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.04.08წ. გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ა. თ-შვილის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.02.07წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურს დაევალოთ ა. თ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების გაფორმება – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 11.02.09წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.04.08წ. გადაწყვეტილება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 10.06.09წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით მოითხოვა განმარტება, თუ რომელი რიცხვით ან რომელი პერიოდიდან უნდა გაფორმდეს ა. თ-შვილის გათავისუფლების შესახებ ბრძანება და კონკრეტულად რომელმა მოპასუხემ (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თუ შემოსავლების სამსახური) გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა. თ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

განცხადების ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს 02.04.08წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტმა გარკვეულწილად გაართულა გადაწყვეტილების აღსრულება, კერძოდ, სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში არ არის მითითება, თუ რომელი რიცხვით უნდა გაფორმდეს ა. თ-შვილის გათავისუფლების შესახებ ბრძანება. ამასთან, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ა. თ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების გაფორმებას ავალდებს როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, რაც იწვევს გაუგებრობას, რადგან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შე-

მოსავლების სამსახური, როგორც სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, წარმოადგენს სამართალსა და სამართლებრივ აქტებს მთელ რიგ საკითხებზე, მათ შორის, აქტებს მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. შესაბამისად, განმცხადებლის მოსაზრებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით არ იკვეთება, თუ კონკრეტულად რომელი სუბიექტია (ფინანსთა სამინისტრო თუ შემოსავლების სამსახური) ვალდებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის შესრულებაზე, ანუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.09წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უარი ეთქვა გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე განცხადების დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 02.04.08წ. განჩინებით, ფინანსთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურს დაევალა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი გაფორმება და არა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლება. სასამართლომ იმსჯელა არა არსებითად მისი გათავისუფლების საკითხზე, არამედ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელე გათავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ მისი გათავისუფლება არ იქნა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მოთხოვნების მიხედვით გაფორმებული. ისევე როგორც სააპელაციო სასამართლომ, საკასაციო სასამართლომაც თავისი განჩინებით აღნიშნა, რომ ა. თ-შვილის შრომის წიგნაკში გათავისუფლების საფუძველად სააპელაციო სასამართლოს 29.12.05წ. გადაწყვეტილების მითითება არ იყო მართლზომიერი, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით მოსარჩელე არ გათავისუფლებულა თანამდებობიდან. საკასაციო პალატამ განმარტა, თუ როგორ ფორმდება მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება, თანახმად, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 110-ე მუხლისა. ამასთან, შრომის წიგნაკში კეთდება სათანადო ჩანაწერი გათავისუფლების შესახებ, გათავისუფლების თარიღის მითითებით. ამდენად, საკითხი, თუ რა რიცხვით უნდა იქნეს გამოცემული აქტი, მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ არ წარმოადგენს გადაწყვეტილების განმარტების გზით გადასაწყვეტ საკითხს. სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელის გათავისუფლების გაფორმების როგორც ფინანსთა სამინისტროსათვის, ასევე, შემოსავლების სამსახურისთვის დავალება არ უნდა იწვევდეს სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას და გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლებას, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, თანამდებობიდან გათავისუფლება წარმოადგენს ადმინისტრაციის უფლებამოსილებათა რიგს. ამასთან, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 93-ე მუხლის მიხედვით, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. შესაბამისად, მოპასუხეებმა კანონის აღნიშნული მოთხოვნის, მათი სამოქმედო დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა და ა. თ-შვილის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის გათვალისწინებით უნდა განახორციელონ ა. თ-შვილის სამსახურიდან დათხოვნის გაფორმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.09წ. განჩინება გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის თქმის თაობაზე, 10.06.09წ. განცხადებაში მითითებული საფუძველებით კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.04.08წ. გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძველიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი უსაფუძველოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.09წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.09წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.04.08წ. გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის განმარტებაზე, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – დაევალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ა. თ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების გაფორმება – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 10.06.09წ. განცხადებით მოითხოვა განმარტება იმისა, თუ რომელი რიცხვით ან რომელი პერიოდიდან უნდა გაფორმდეს ა. თ-შვილის გათავი-

სუფლების შესახებ ბრძანება და კონკრეტულად რომელიმე მოპასუხემ (საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ თუ შემოსავლების სამსახურმა) უნდა გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა. თ-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება დაიშვება მხოლოდ გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ამასთან, გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად და იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. გადაწყვეტილების განმარტება მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა. გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში განიმარტება, როდესაც მისი შინაარსი არის ბუნდოვანი, გაურკვეველი ან წინააღმდეგობრივი. გაურკვეველობა უნდა ეხებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. სსკ-ის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვნებაა. გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტების მიცემაში პრიორიტეტულია არა მხარის სურვილი, მოისმინოს მიღებული გადაწყვეტილების დამატებითი არგუმენტები, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვნება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.04.08წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი არ არის ბუნდოვანი და, შესაბამისად, იგი არ საჭიროებს განმარტებას, მისი დასაბუთება მოცემულია ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი სავსებით ცხადია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მართებულად ეთქვა უარი გადაწყვეტილების განმარტებაზე. ვინაიდან სსკ-ის 262-ე მუხლი იძლევა გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობას მისი შინაარსის შეუცვლელად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გადაწყვეტილების განმარტების მოტივით, თუნდაც ნაწილობრივ შეცვალოს იგი ან შეეხოს ისეთ საკითხს, რომელიც არ იყო მისი მსჯელობის საგანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.09წ. განჩინების გაუქმების და ამავე სასამართლოს 02.04.08წ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 419-420-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.08წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

1ბს-1291-1235(კს-09) 5 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 24 აგვისტოს ა. ტ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალა ა. ტ-შვილის გათავისუფლების თაობაზე, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მოსარჩელის განმარტებით, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო 2007 წლის 23 ივლისის 123 დადგენილების გამოცემისას უფლებამოსილების ფარგლებში არ მოქმედებდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 23 ივლისის 123 დადგენილების ბათილად ცნობა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის დავალეზა მოითხოვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქმეში თანამოპასუხედ ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაება.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 იანვრის საოქმო განჩინებით ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა სსიპ "გორის უნივერსიტეტი".

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ტ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის (უფლებამონაცვლე სსიპ "გორის უნივერსიტეტი") აკადემიური საბჭოს 2007 წლის 23 ივლისის 123 დადგენილება მისგან გამომდინარე შედეგებით; ა. ტ-შვილის სარჩელს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის დავალდებულების შესახებ უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ "გორის უნივერსიტეტმა" იმ ნაწილში, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სსიპ "გორის უნივერსიტეტის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილების მეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. ტ-შვილის სარჩელი ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის (უფლებამონაცვლე სსიპ "გორის უნივერსიტეტი") აკადემიური საბჭოს 2007 წლის 23 ივლისის 123 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რექტორი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმომადგენელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას ქვეყნის შიგნით და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილი იყო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით დაედო გარიგებები და შეთანხმებები. ამდენად, ხსენებული ნორმის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე სუბიექტს წარმოადგენდა რექტორი, რომელიც იმავდროულად აღჭურვილი იყო აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება და მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად მიითვებული გარემოება, კერძოდ, ის, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში

განსაზღვრული არ იყო უნივერსიტეტის მუშაკის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების უფლების მქონე ორგანო, არ წარმოადგენდა გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველს, ვინაიდან ამ უკანასკნელს ხელს აწერდა უნივერსიტეტის რექტორი და მხოლოდ ის ფაქტი, რომ აქტი გამოცემული იყო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სახელით, არ შეიძლება იყოს ყოფილიყო აქტის გამომცემი სუბიექტის არაუფლებამოსილ ორგანოდ მიჩნევის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ტ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით ა. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ა. ტ-შვილმა განცხადება-შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და თბილისის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ა. ტ-შვილის შუამდგომლობა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ტ-შვილმა, რომელმაც ამ განჩინების გაუქმება და 2008 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ა. ტ-შვილის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ა. ტ-შვილის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს და მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, შესაბამისად, განმარტებას არ საჭიროებს.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე მიუთითებს, რომ 262-ე მუხლის პირველი ნაწილით სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია, ხოლო მოცემულ შემთხვევაში თუ სარეზოლუციო ნაწილი განმარტება ისე, როგორც ამას კერძო საჩივრის ავტორი მოითხოვს, ეს გამოიწვევს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეცვლას, რაც მითითებული მუხლით დაუშვებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. ტ-შვილის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ტ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

18-2633-9(გან-09)

12 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის 18ს-33-33(კ-08) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 10 აპრილს გ. კ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელის წინაშე არსებული დავალიანებების შესახებ ცნობების წარმოდგენისა და აღნიშნული დავალიანებების ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით გ. კ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელე გ. კ-მის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 1260,32 ლარის, სანივთე ქონების – 1236,94 ლარის, ბინის ქირის კომპენსაციის – 2306,10 ლარის, ხელფასზე დანამატის სახით – 1800 ლარის, სამივლინებო თანხის – 411,12 ლარისა და სასამართლო ხარჯების – 50 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა სასამართლო ხარჯების სახით 50 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, შეიცვალა და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით გ. კ-მის სარჩელი მოპასუხისათვის სასამართლო ხარჯების – 50 ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა – სახელფასო დავალიანების – 1260,32 ლარის, ხელფასზე დანამატის სახით – 1800 ლარის, ბინის ქირის კომპენსაციის – 2306,10 ლარის, სა-

მივლინებო თანხის – 411,12 ლარის და ფორმა-ტანსაცმლის კომპენსაციის – 1236,94 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებაზე არ დაკმაყოფილდებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი სახელფასო დავალიანებისა და სანივთე ქონების (ფორმა-ტანსაცმლის) კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება გ. კ-ძისათვის სახელფასო დავალიანების – 1260,32 ლარისა და სანივთე ქონების (ფორმა-ტანსაცმლის) კომპენსაციის – 1236,94 ლარის ანაზღაურების ნაწილში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ბინის ქირის კომპენსაციის – 2306,10 ლარის, ხელფასზე დანამატის სახით – 1800 ლარისა და სამივლინებო თანხის – 411,12 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და ამ ნაწილში საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2008 წლის 8 მაისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება ხელფასის დანამატის – 1800 ლარის გ. კ-ძის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება გ. კ-ძის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის ბინის ქირისა და სამივლინებო თანხების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ბინის ქირისა და სამივლინებო თანხების გ. კ-ძის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში გ. კ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 2003-2004 წლების ბინის ქირა და 2003-2004 წლების სამივლინებო თანხები; გ. კ-ძეს უარი ეთქვა 1998-2002 წლების ბინის ქირისა და 2002 წლის სამივლინებო თანხის ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის გამო.

2009 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურომ განცხადებით (შუამდგომლობა) მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის ¹ბს-33-33(კ-08) გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

განცხადების ავტორმა აღნიშნა, რომ მათ წარმოებაში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ 2008 წლის 25 ივნისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებაზე გაცემული ¹ბს-33-33(კ-08) სააღსრულებო ფურცელი. განცხადების ავტორის განმარტებით, აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების უზრუნველსაყოფად მათ არაერთხელ მიმართეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. კ-ძის 2003-2004 წლების ბინის ქირისა და 2003-2004 წლების სამივლინებო თანხების დაანგარიშების შესახებ, რაზეც პასუხი არ მიუღიათ. ამდენად, თბილისის სააღსრულებო ბიურომ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის განმარტება მოითხოვა, კერძოდ, რა თანხის ფარგლებში უნდა მომხდარიყო აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის ¹ბს-33-33(კ-08) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007

წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება ხელფასის დანამატის – 1800 ლარის გ. კ-ძის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება გ. კ-ძის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის ბინის ქირისა და სამივლინებო თანხების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ბინის ქირისა და სამივლინებო თანხების გ. კ-ძის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში გ. კ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 2003-2004 წლების ბინის ქირა და 2003-2004 წლების სამივლინებო თანხები; გ. კ-ძეს უარი ეთქვა 1998-2002 წლების ბინის ქირისა და 2002 წლის სამივლინებო თანხის ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის გამო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ აღნიშნული კოდექსით სხვა წესი არ არის დადგენილი, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს განცხადება, თუ რა თანხის ფარგლებში უნდა მომხდარიყო გ. კ-ძისათვის 2003-2004 წლების ბინის ქირის ანაზღაურება უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ გ. კ-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შრომითი ურთიერთობისას მიუღებელი ჰქონდა ბინის ქირის კომპენსაცია შემდეგი პერიოდისათვის და ოდენობით: 1998 წლის 4 თვის – 131,72 ლარი, 1999 წლის 12 თვის – 395,16 ლარი, 2000 წლის 12 თვის – 395,16 ლარი, 2001 წლის 12 თვის – 395,16 ლარი, 2002 წლის 12 თვის – 395,16 ლარი, 2003 წლის 12 თვის – 395,16 ლარი, 2004 წლის 6 თვის – 198,53 ლარი, სულ გასაცემმა თანხამ შეადგინა 2306,10 ლარი. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ. კ-ძისათვის 2003 წლის ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 395,16 ლარს, ხოლო 2004 წლის ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხა – 198,53 ლარს.

რაც შეეხება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს განცხადებას გ. კ-ძისათვის 2003-2004 წლების ასანაზღაურებელი სამივლინებო თანხების ოდენობას, აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხსენებულ ნაწილში განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას დავის საგანს წარმოადგენდა არა სამივლინებო თანხების ოდენობა, არამედ ხსენებული მოთხოვნების ხანდაზმულობის საკითხი, კერძოდ, ეკუთვნოდა თუ არა გ. კ-ძეს აღნიშნული სამივლინებო თანხები და რა პერიოდის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ კასატორი არ უარყოფდა გ. კ-ძის მივლინებებში ყოფნის ფაქტს და ამასთან ერთად, მას არ წარმოედგენია რაიმე მტკიცებულება სამივლინებო თანხების გ. კ-ძისათვის ანაზღაურების თაობაზე. ამდენად, სამივლინებო თანხების ოდენობა არ ყოფილა საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი, რის გამოც საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას განმარტება მისცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღნიშნულ საკითხზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას განმარტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია. ამდენად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს სასამართლოს მიერ მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განმარტების წესსა და პირობებს და ამგვარი უფლებამოსილებით აღჭურავს სასამართლოს ყველა ამ პირობის არსებობისას, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს – გადაწყვეტილების განმარტებისას არ უნდა იქნეს შეცვლილი კანონიერ ძალაში შესული და განმარტებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და განმარტების საგანს უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ გადაწყვეტილების შინაარსი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას განმარტოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება გ. კ-ძისათვის ასანაზღაურებელი სამივლინებო თანხის ნაწილში, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს მსჯელობა არ ეხებოდა სამივლინებო თანხების ოდენობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის ¹ბს-33-33(კ-08) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის ¹ბს-33-33(კ-08) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის ¹ბს-33-33(კ-08) გადაწყვეტილება გ. კ-ძისათვის 2003-2004 წლების ასანაზღაურებელი ბინის ქირის თაობაზე განიმარტოს შემდეგნაირად: გ. კ-ძისათვის 2003 წლის ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს – 395,16 ლარს, ხოლო 2004 წლის ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხა – 198,53 ლარს;

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის ¹ბს-33-33(კ-08) გადაწყვეტილების გ. კ-ძისათვის 2003-2004 წლების ასანაზღაურებელი სამივლინებო თანხების ოდენობის განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტება

განჩინება

¹ბ-2921-11(გან-09) 30 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ს. კ-ოვის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინებისა და 24 ივლისის ¹ბს-424-407(კ-08) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 1 ნოემბერს ს. კ-ოვმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების სამმართველოში. გათავისუფლების მომენტისათვის მიუღებელი დარჩა 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანება, რამაც 1827,45 ლარი, ხოლო ხელზე ასაღები თანხის სახით 1524,15

ლარი შეადგინა, მათ შორის, ხელფასის თანხამ – 579,5 ლარი, კვების თანხამ – 826 ლარი, ჯილდომ – 336,65 ლარი, მატერიალურმა დახმარებამ – 85,3 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ ზემოთ მითითებული დავალიანების თანხის გადახდა დაკისრებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით ს. პ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ს. პ-ოვის სასარგებლოდ 1827,45 ლარის გადახდა დაეკისრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ს. პ-ოვისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება ს. პ-ოვისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს თანხების ანაზღაურების ნაწილში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის – 826 ლარის ს. პ-ოვისათვის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საკასაციო საჩივრის განხილვა დაშვებულ ნაწილში დაინიშნა 2008 წლის 24 ივლისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ – კვების კომპენსაციის ნაწილში დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის განჩინება ს. პ-ოვის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის – 826 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. პ-ოვის სარჩელი კვების კომპენსაციის თანხის – 826 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

2009 წლის 18 ნოემბერს ს. პ-ოვმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინებისა და 24 ივლისის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა, კერძოდ, რა ოდენობით თანხის ანაზღაურება დაეკისრა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ს. პ-ოვის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინებისა და 24 ივლისის 1ბს-424-407(კ-08) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ აღნიშნული კოდექსით სხვა წესი არ არის დადგენილი, გამოიყენება საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, რათა დაბრკოლება არ შეექმნას მხარის უფლების რეალიზაციას, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანასა და მოსარჩელისათვის მიკუთვნებული თანხის რეალურად მიღებას, უნდა განიმარტოს საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის – ს. პ-ოვის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მიუღებელი სახელფასო დავალიანების – 1827,45 ლარის, ხოლო ხელზე ასაღები თანხის სახით – 1524,15 ლარის ანაზღაურება, მათ შორის, ხელფასის თანხა შეადგენდა – 579,5 ლარს, კვების თანხა – 826 ლარს, ჯილდო – 336,65 ლარს, ხოლო მატერიალურმა დახმარება – 85,3 ლარს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება ს. პ-ოვისათვის ხელფასის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს თანხების ანაზღაურების ნაწილში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით კი გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის განჩინება ს. პ-ოვის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის – 826 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. პ-ოვის სარჩელი კვების კომპენსაციის თანხის – 826 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ამდენად, საკასაციო სასამართლომ სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებები შეცვალა მხოლოდ კვების კომპენსაციის ნაწილში, ხოლო დანარჩენი თანხის, სახელფასო დავალიანების – 579,5 ლარის, ჯილდოს – 336,65 ლარისა და მატერიალურმა დახმარების – 85,3 ლარის ანაზღაურების ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება არ შეცვლილა და შესულია კანონიერ ძალაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტისა და მეორე ნაწილის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. პ-ოვის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინებისა და 24 ივლისის ¹ბს-424-407(კ-08) გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინება და 24 ივლისის ¹ბს-424-407(კ-08) გადაწყვეტილება განიმარტოს შემდეგნაირად: მოსარჩელე – ს. პ-ოვისათვის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სახელფასო დავალიანება – 579,5 ლარს, ჯილდო – 336,65 ლარს, ხოლო მატერიალური დახმარება – 85,3 ლარს, რომლის ანაზღაურებაც დაეკისრა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. საქმის წარმოების შეჩერება

განჩინება

1ბს-1389-1347(კს-08) 15 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 23 აგვისტოს დ. გ-იამ და ლ. ლ-ვამ სარჩელით მიმართეს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – სს სასტუმრო "...-სა" და თბილისის მერიის მიმართ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებით ითხოვდნენ: მოპასუხეებს დავალებოდათ მათთან, როგორც სს სასტუმრო "...-ში" მცხოვრებ სოხუმელ ლტოლვილებთან, ხელშეკრულების გაფორმება საკომპენსაციო თანხის სახით 14000 აშშ დოლარის ანაზღაურებაზე და მორალური და ფიზიკური ზიანის მიყენებისათვის – თითოეულისათვის 5000 აშშ დოლარის ანაზღაურებას.

2006 წლის 11 ივლისს დ. გ-იამ და ლ. ლ-ვამ დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვეს მოპასუხე სს სასტუმრო "...-საგან" 2004 წლის აგვისტოში მისაღები საკომპენსაციო თანხის მიუღებლობით გამოწვეული ყიდვისუნარიანობის შემცირების გამო, მოპასუხეთათვის სოლიდარულად 14000 აშშ დოლარის მოსარჩელეთა სასარგებლოდ გადახდის დაკისრება, 2004 წლის აგვისტოში მათ მიერ ბეს სახით (ნასესხები) გადახდილი 2000 აშშ დოლარის სანაცვლოდ მიყენებული მატერიალური ზიანის სახით 5000 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრება თბილისის მერიისათვის და ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხეთაგან სოლიდარულად 10000 აშშ დოლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. გ-იასა და ლ. ლ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. გ-იამ და ლ. ლ-ვამ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

საქმის სააპელაციო წესით განხილვისას აპელანტებმა შეცვალეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და სასამართლოს წინაშე ალტერნატიული სახით მოითხოვეს საქმის დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოში, სარჩელის გაზრდის მოტივით ან აღნიშნული მოთხოვნის არდაკმაყოფილების შემთხვევაში, თავდაპირველი სააპელაციო საჩივრის განხილვა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 სექტემბრის განჩინებით დ. გ-იასა და ლ. ლ-ვას სააპელაციო საჩივარი მოპასუხე სს სასტუმრო "...-ის" მიმართ საკომპენსაციო თანხისა და საკომპენსაციო თანხის გაუცემლობით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში განსჯადობით განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას; დ. გ-იასა და ლ. ლ-ვას სააპელაციო საჩივარი იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელები მოპასუხე თბილისის მერიისაგან ითხოვდნენ საკომპენსაციო თანხის გაუცემლობის გამო ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურებას, შეჩერდა სარჩელის სამოქალაქო წესით განხილვამდე და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება და შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ასევე საქმეები იმ სამართალურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელები ითხოვდნენ კომპენსაციას სს სასტუმრო "...-საგან", სამართალურთიერთობის მონაწილეები არიან, ერთი მხრივ, ფიზიკური პირები: დ. გ-ია და ლ. ლ-ვა და მეორე მხრივ, კერძო სამართლის იურიდიული პირი – სს სასტუმრო "...".

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის "ა" პუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული საქმეები, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო (კერძო-სამართლებრივი) ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავიდან მოქალაქეებსა და იურიდიულ პირს შორის.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემული სადავო ურთიერთობა წესრიგდება არა ადმინისტრაციული კანონმდებლობით, არამედ, სამოქალაქო კოდექსით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, ვინაიდან სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს წარმოადგენენ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები, ხოლო დავის საგანი – საკომპენსაციო თანხის გაუცემლობით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება – გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობებიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველი საქმე იმ ნაწილში რომლითაც აპელანტები ითხოვენ კომპენსაციას სს სასტუმრო "...-საგან", განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს უფლებამოსილ – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "დ" პუნქტის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატის მითითებით, საქმე იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელები ქ. თბილისის მერიისგან ითხოვდნენ ზიანის ანაზღაურებას, უნდა შეჩერდეს სს სასტუმრო "...-ის" მიმართ სარჩელის სამოქალაქო წესით განხილვისა და მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ვინაიდან სარჩელი ქ. თბილისის მერიისგან საკომპენსაციო თანხის გაუცემლობის გამო დამდგარი ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, პირდაპირ არის დამოკიდებული სს სასტუმრო "...-ის" მიერ საკომპენსაციო თანხის გაუცემლობის სამართლებრივ შეფასებაზე, აღნიშნული ქმედების ბრალეულების არსებობა-არარსებობის საკითხის გადაწყვეტაზე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრეს დ. გ-იამ და ლ. ლ-ვამ, რომლებმაც მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 სექტემბრის განჩინების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით დ. გ-იასა და ლ. ლ-ვას კერძო საჩივარი, სააპელაციო საჩივრის განსჯადობით უფლებამოსილ – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის გადაცემის ნაწილში, დარჩა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. გ-იასა და ლ. ლ-ვას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით მათი კერძო საჩივარი სააპელაციო საჩივრის განსჯადობით უფლებამოსილ – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის გადაცემის ნაწილში დარჩა განუხილველი იმ მოტივით, რომ განჩინება ამ ნაწილში არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას.

მითითებული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ხაზგასმას აკეთებს იმ მოსაზრებაზე, რომ საკასაციო სასამართლო ამ ეტაპზე არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს კერძო საჩივარში წარმოდგენილ ძირითად არგუმენტაციაზე, რომელიც შეეხება საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფასა და განსჯადობით სამოქალაქო საქმეთა პალატაში გადაგზავნას. შესაბამისად, აღნიშნული ვერ იქცევა საკასაციო სასამართლოს შეფასების საგნად. რაც შეეხება ადმინისტრაციულ საქმეზე საქმის წარმოების შეჩერებას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ადგილი არა აქვს საპროცესო ნორმების დარღვევას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "დ" პუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

მითითებული მუხლის გამოყენების შემთხვევაში სავალდებულოა სასამართლომ განსაზღვროს, რა კავშირი არსებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს მიერ განხილვა და რაც მთავარია, ისინი უნდა გამომდინარეობდა ერთი და იმავე ფაქტობრივი საფუძვლებისა და სამართლებრივი ურთიერთობიდან.

სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზი უდავოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ორივე წინამდებარე საქმე გამომდინარეობს ერთი და იმავე ურთიერთობიდან და მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი არის საერთო. რაც შეეხება ადმინისტრაციული საქმის განხილვის შეუძლებლობას, საკასაციო სასამართლო ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თავდაპირველად უნდა გადაწყდეს, არსებობდა თუ არა კერძო საჩივრის ავტორებზე (მოსარჩელებზე) საკომპენსაციო თანხის გაცემის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი, რომლის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაშიც სასამართლოს ექნება საშუალება, იმსჯელოს ქ. თბილისის მერიის ქმედების მართლზომიერებასა და მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივარს მიიჩნევს დაუსაბუთებლად და თვლის, რომ არ არსებობს მისი დაკმაყოფილების პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის II ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. დ. გ-იასა და ლ. ლ-ვას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 სექტემბრის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება

განჩინება

1ბს-1019-977 (კს-09) 16 სექტემბერი, 2009 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. სილაგაძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ლ. ა-მის წარმომადგენლის ა. გ-იას კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.09წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ა-მემ 04.09.06წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიის, ნოტარიუს ე. შ-შვილის და ნოტარიუს ნ. მ-იას მიმართ, რომლითაც ნოტარიუს ე. შ-შვილის მიერ 04.08.93წ. დამოწმებული პრივატიზების ხელშეკრულების და ნოტარიუს ნ. მ-იას მიერ 06.08.93წ. დამოწმებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.09.06წ. განჩინებით ლ. ა-მის სასარჩელო მოთხოვნა ნოტარიუს ნ. მ-იას მიმართ, 06.08.93წ. ბინის ნასყიდობის

ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა 04.08.93წ. პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში 12.10.06წ. განჩინებით მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ საბოლოოდ მხარეთა სტატუსი განსაზღვრულ იქნა შემდეგნაირად: მოპასუხე – ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, მესამე პირები – ნოტარიუსი ე. შ-შვილი და თ. მ. ზ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.12.08წ. გადაწყვეტილებით ლ. ა-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 04.08.93 წ. პრივატიზაციის ხელშეკრულება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ნოტარიუსმა ე. შ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში საქმის განხილვის ეტაპზე სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ნოტარიუსმა ე. შ-შვილმა, რომელმაც სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მის მიერ დანიშნული კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით აღნიშნული საქმის და მასზე თანდართული კრწანისის რაიონის სასამართლოს ¹2/120-93 საქმის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გადაგზავნა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.09წ. განჩინებით წარდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეჩერდა კალიგრაფიული ექსპერტიზის დასრულებამდე.

ლ. ა-ძის წარმომადგენელმა ა. გ-იამ 29.06.09წ. კერძო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც კალიგრაფიული ექსპერტიზის დასრულებამდე ადმინისტრაციული საქმის წარმოების შეჩერების შესახებ 29.05.09წ. მიღებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ არის დასაბუთებული, კერძოდ, არ არის მითითებული, თუ რა არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ექსპერტიზის დასკვნას საქმის გადაწყვეტისათვის. დოკუმენტები, რომელთა გამოსაკვლევადაც დანიშნულ იქნა კალიგრაფიული ექსპერტიზა, არ ეხება დავის საგანს. სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა. კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ დარღვეულ იქნა, აგრეთვე, სსსკ-ის 163-ე მუხლის მოთხოვნა, სასამართლოს არ გამოუტანია განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ამასთან, სსსკ-ის 280-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეჩერება შეუძლებელია, ვინაიდან სასამართლოს ექსპერტიზა არ დაუნიშნავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტ ე. შ-შვილის წარმომადგენლის თ. ე-ძის მიერ სასამართლოს წინაშე დაისვა შუამდგომლობა მისი განცხადების საფუძველზე სსიპ ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დანიშნული კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩასატარებლად სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის საექსპერტო ბიუროში გადაგზავნის შესახებ. სააპელაციო პალატამ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინება მიიღო მხარის მიერ დაყენებული საქმის მასალების ექსპერტიზისათვის გადაგზავნის შესახებ შუამდგომლობის საფუძველზე ისე, რომ საქმის მასალების ექსპერტიზისათვის გადაგზავნის საკითხზე არ უმსჯელია და არც ექსპერტიზა დაუნიშნავს. მიუხედავად ამისა, შეჩერების საფუძველად სასამართლომ სსსკ-ის 280-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტზე მიუთითა, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს უფლებას, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეაჩეროს საქმის წარმოება სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევაში. სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, მხარის მიმართვის საფუძველზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით შეეჩერებინა საქმის წარმოება. მას უნდა ემსჯელა შუამდგომლობაში დასმულ საკითხზე, კერძოდ, საქმის მასალების საექსპერტო ბიუროსათვის გადაგზავნაზე. ამასთან, სადავო განჩინების მიღებისას სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 282-ე მუხლით და მხარეებს განუსაზღვრა განჩინებაზე კერძო საჩივრის წარდგენის უფლება. სსსკ-ის 282-ე მუხლი ითვალისწინებს შეჩერების განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დანიშვნის (სსკ-ის 280-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტი) შემთხვევის გარდა. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ საქმე შეაჩერა ექსპერტიზის დანიშვნის გარეშე, საკასაციო პალატა დასაშვებად თვლის სააპელაციო სასამართლოს სადავო განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანის და განხილვის შესაძლებლობას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ე. შ-შვილის წარმომადგენლის შუამდგომლობას თან ერთვის ხელშეკრულება ¹1/1570 სასამართლო-საექსპერტო მომსახურების შესახებ და სსიპ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 21.05.09 წ. ¹19-1795 წერილი თ. ე-ძის მიმართ ექსპერტიზისათვის დამატებითი მასალების წარდგენის შესახებ. აღნიშნული მტკიცებულებები

ადასტურებს შუამდგომლობაში მოყვანილ გარემოებას იმის შესახებ, რომ მხარემ თავისი ინიციატივით გამოიყენა საპროცესო შესაძლებლობა სასამართლოსგან დამოუკიდებლად მოეპოვებია ექსპერტიზის დასკვნა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს მხარის ინიციატივით დანიშნული ექსპერტიზის (ალტერნატიული ექსპერტიზა) ჩატარების უზრუნველსაყოფად სასამართლოს მიერ განსახორციელებელ პროცედურულ ნორმებს, მაგრამ მხარეებს ანიჭებს უფლებას, სასამართლოსგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ ექსპერტიზის ჩატარება და დასკვნა წარუდგინონ სასამართლოს. სსკ-ის 162.4 მუხლის თანახმად, მხარის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენლობა არ შეიძლება გახდეს საქმის განხილვის გადადების საფუძველი. სასამართლოს შეუძლია, მხარეს დაუნიშნოს ვადა ექსპერტიზის დასკვნის წარმოსადგენად, მაგრამ აღნიშნული სასამართლოს არ აძლევს შესაძლებლობას, მხარის ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის დასრულებამდე შეაჩეროს საქმის წარმოება. თუ სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია ექსპერტიზის ჩატარება, მას შეუძლია, საქმის წარმოების შეჩერების გარეშე განსაზღვროს ვადა ექსპერტიზის დასკვნის წარმოსადგენად.

საქმის წარმოების შეჩერება განსხვავდება საქმის განხილვის გადადებისაგან: საქმის განხილვის გადადება არის სხვა დროისთვის დანიშნულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის გადატანა, ხოლო საქმის წარმოების შეჩერება -საპროცესო მოქმედებათა შეწყვეტა საქმის განხილვის სტადიაზე, რაც გამოწვეულია ისეთი ობიექტური გარემოებებით, რომელთა მიმართ შეუძლებელია იმის წინასწარ ზუსტად გარკვევა, თუ როდის შეწყვეტს ისინი არსებობას. საქმის განხილვის გადადება უნდა მოხდეს გარკვეული ვადით, ხოლო საქმის წარმოების შეჩერება შეიძლება მოხდეს კანონით გათვალისწინებული პირობების (მოვლენის) დადგომამდე. ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ საქმის წარმოების შეჩერებას, არ წარმოადგენს მითითებით ნორმებს, ისინი თავად შეიცავენ იმ საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც იწვევენ საქმის შეჩერებას, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება, გააფართოვოს ან შეკვეცოს ამ საფუძვლების წრე. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმის წარმოების შეჩერების სავალდებულო (სსკ-ის 279-ე მუხ.) და ფაკულტატურ (არასავალდებულო) (სსკ-ის 280-ე მუხ.) საფუძვლებს. განსახილველ შემთხვევაში, მხარის ინიციატივით კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩატარება არ წარმოადგენს შეჩერების არც სავალდებულო და არც ფაკულტატურ საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის 29.05.09წ. განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ე. შ-შვილის წარმომადგენლის თ. ე-ძის 27.05.09წ. შუამდგომლობის განხილვის მიზნით უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს მხარის შუამდგომლობის საფუძვლიანობაზე და ასეთის დადასტურების შემთხვევაში, საქმის წარმოების შეჩერების გარეშე, განუსაზღვროს გონივრული ვადა ექსპერტიზის დასკვნის სასამართლოში წარმოსადგენად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე, 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ა-ძის წარმომადგენლის ა. გ-იას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.09წ. განჩინება და საქმე შუამდგომლობის განხილვის ეტაპიდან დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება

განჩინება

1ბს-887-849(კს-09)

4 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. თ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა სოხუმის რაიონულ და სოხუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ქ. სოხუმში ...¹21-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ რეესტრაციაში გატარების დავალება, ხსენებული სახლის თავისუფალი ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უზრუნველყოფის დავალება ქ. სოხუმის მერიისათვის.

სოხუმის რაიონულ და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. სოხუმში ...¹21-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა სადავო ქონება საკუთრების უფლებით აღრიცხა ი. თ-იას სახელზე. ამავე გადაწყვეტილებით, უსაფუძვლოების გამო, არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა, რომელიც ეხებოდა ხსენებული სახლის თავისუფალი ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უზრუნველყოფის დავალებას ქ. სოხუმის მერიისათვის.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და ი. თ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.07წ. განჩინებით "მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის საფუძველზე ქ. სოხუმის მერიის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა აფხაზეთის ა/რ მთავრობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.03.08წ. განჩინებით სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა" და ი. თ-იას სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა – უცვლელად დარჩა სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 08.06.06წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ი. თ-იას მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 11.03.09წ. განჩინებით ი. თ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.03.08წ. განჩინება ი. თ-იასთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში, ი. თ-იას საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ი. თ-იას სასარჩელო მოთხოვნა ქ. სოხუმის მერიისათვის მოსარჩელის კუთვნილი ქონების თავისუფალი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უზრუნველყოფის თაობაზე, სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.03.08წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ი. თ-ია ცნობილ იქნა ქ. სოხუმში ...¹21-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა ი. თ-იას სახელზე საკუთრების უფლებით უძრავი ნივთის აღრიცხვა. საქმე ამ ნაწილში ხელახალი არსებითი განხილვისთვის დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.09წ. განჩინებით აფხაზეთის ა/რ მთავრობა ცნობილ იქნა არასათანადო მოპასუხედ მემკვიდრედ და მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის ნაწილში და ამ ნაწილში სათანადო მოპასუხედ ჩაბმულ იქნა აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტრო. აღნიშნული განჩინება გასაჩივრებული იქნა ი. თ-იას მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.06.09წ. განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება ი. თ-იას განცხადების (საჩივრის) განხილვის დასრულებამდე და საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნებამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 17.07.09წ. განჩინებით ი. თ-იას განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული.

27.07.09წ. ი. თ-იამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.09წ. და 17.06.09წ. განჩინებების გაუქმების მოთხოვნით მომართა საკასაციო პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 12.10.09წ. განჩინებით ი. თ-იას კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.09წ. განჩინების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატას საქმის მასალების და კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მი-აჩნია, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია საქმის წარმოების შეჩერების სა-ფუძვლების ამომწურავი ჩამონათვალი და მისი განვრცობითი განმარტება დაუშვებელია. ნორმები, რომლებიც აწესრიგებს საქმის წარმოების შეჩერებას, არ წარმოადგენს მითითებით ნორმებს, ისინი თავად შეიცავს იმ საფუძვლების სრულ ჩამონათვალს, რომლებიც იწვევს საქმის წარმოების შეჩერე-ბას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სა-სამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის ან ადმინისტრა-ციული სამართლის წესით. ამავე კოდექსის 281-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით, საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი ეხება სასამართლოს მიერ განსახილველ საქმესთან კავშირში მყოფი სხვა საქმის გან-ხილვას, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით დამოუკიდებელ დავებს წარმოადგენს და კონ-კრეტულ საქმესთან კავშირი აქვთ იმდენად, რამდენადაც სხვა საქმეებზე დადგენილი გარემოებანი მნიშვნელოვანია ამ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის. შესაბამისად, ზემოხსენებული წესი ვერ გავრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც დავა მიმდინარეობს ერთი და იგივე საქმის თაობაზე სასამართლო სისტემის სხვადასხვა ინსტანციაში.

განსახილველ შემთხვევაში სამართალწარმოება მიმდინარეობს ერთ საქმესთან დაკავშირებით და ზემდგომ ინსტანციაში კერძო საჩივრის წარდგენა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერების სა-ფუძველს.

ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408_ე მუხ-ლის მე-3 ნაწილით, 414-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. თ-იას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.06.09წ. განჩინება;

2. საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება

განჩინება

1ბს-1318-1261 (კს-09) 14 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 20 იანვარს გ. ე-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას მოპასუხის – ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ და ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისიის 2008 წლის 8 დეკემბრის ¹71 ოქმის დღის წესრიგის 22-ე საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების, კერძოდ: ქ. თბილისის საკრებულოს ¹696 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე, ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით გ. ე-ძის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი მაღალში შესვლის დღიდან ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისიის 2008 წლის 8 დეკემბრის ¹71 ოქმის დღის წესრიგის 22-ე საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება, ქ. თბილისის საკრებულოს ¹696 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე იმ მოტივით, რომ სისხლის სამართლის ¹... საქმეზე, სამკვიდრო მოწმობის გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით, მიმდინარეობს გამოძიება. აპელანტის მოსაზრებით, აღნიშნული საქმის განხილვა შეუძლებელია ქ. თბილისის პროკურატურაში მიმდინარე სისხლის სამართლის ¹... საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა – შეჩერდა საქმის წარმოება ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისიის სააპელაციო საჩივარზე ქ. თბილისის პროკურატურაში მიმდინარე სისხლის სამართლის ¹... საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ე-ძემ, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის განსახილველად საქმის სააპელაციო სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისიის 2008 წლის 30 მაისის ¹23 ოქმის დღის წესრიგის მე-11 საკითხის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებით მისი, როგორც დაინტერესებული პირის განცხადება დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, ბაგებში, ... ¹15ა-ში, მამამისის – მ. ე-ძის სახელზე აღრიცხულ სახლთმფლობელობაზე, უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე დარეგისტრირებული 4758 კვ.მ-ის თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი აღიარებულ იქნა მფლობელის საკუთრებად, რის დასტურადაც მის სახელზე გაიცა ¹696 საკუთრების უფლების მოწმობა. აღნიშნული მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართობიდან 1438 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთი, როგორც 1994 წლამდე, ჯერ კიდევ 1986 წელს მფლობელობა-

ში აღრიცხული, მის საკუთრებაში უსასყიდლოდ იქნა გადაცემული, ხოლო დარჩენილი 3320 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც მფლობელობაში ჰქონდა 2003 წლიდან, საკუთრებაში გადაეცა სასყიდლის გადახდის საფუძველზე. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისიის 2008 წლის 8 დეკემბრის ¹71 ოქმის 22-ე საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა აღიარებული ამავე კომისიის 2008 წლის 30 მაისის ¹23 ოქმის მე-11 საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება და გაუქმდა მის სახელზე გაცემული ¹696 საკუთრების უფლების მოწმობა. ამ უკანასკნელი სხდომის ოქმით ირკვევა, რომ მისი საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი გახდა საქართველოს პროკურატურის 2008 წლის 8 დეკემბრის წერილი. აღნიშნული წერილის თანახმად, სამკვიდრო მოწმობის გაყალბების ფაქტზე მიმდინარეობდა გამოძიება, ამასთან, იკვეთებოდა ისეთი გარემოებები, რომლებიც ცნობილი რომ ყოფილიყო კომისიისათვის გ. ე-ძის განცხადება არ დაკმაყოფილებოდა.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ქ. თბილისის პროკურატურის 2008 წლის 8 დეკემბრის წერილი, როგორც მიმართვის ფორმა არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე-59-ე მუხლებით დადგენილ პროკურატურის უფლებამოსილებებში. კანონი პროკურატურას არ აძლევს უფლებას, ამგვარი მიწერილობის საფუძველზე კომისიის მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა მოითხოვოს, ხოლო კომისია უფლებამოსილი არ არის, პროკურატურის ამგვარი წერილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნიოს მიწერილობაში მითითებული რაიმე გარემოება და მასზე დააფუძნოს თავისი გადაწყვეტილება. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, კომისიის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება მისი საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმების თაობაზე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ასევე, არ არსებობს საქმისწარმოების შეჩერებისათვის არანაირი გარემოება. საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ საქმეზე არც სამკვიდრო მოწმობის გაყალბების ფაქტი დადგენილა და არც მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელებულა. საქმე აღძრულია კომისიის იურისტისა და სხვა ფიზიკური პირების მიმართ. რაც შეეხება სამკვიდრო მოწმობის გაყალბების ფაქტს, აღნიშნულზე მიუთითებს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეში არსებული ქ. ე-ძის განცხადება, რომლის თანახმად, გ. ე-ძის მხრიდან სამკვიდრო მოწმობის გაყალბებით მოხდა ქ. თბილისში, ბაგებში, ... ¹15ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მითვისება. ამდენად, გამოძიება დაწყებულია ცრუ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვინაიდან სამკვიდრო მოწმობა არ არსებობდა არც მის მიერ კომისიისათვის მიმართვისას და არც დღეისათვის არსებობს. იგი სამკვიდრო მოწმობის აღებას აპირებს ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შემდეგ. კომისია გ. ე-ძის საკუთრების უფლების აღიარებისას დაყრდნო ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურიდან მის მიერ წარდგენილ მიწის ნაკვეთის გეგმა-ნახაზს, სადაც 1994 წლამდე 1478 კვ.მ-ია აღრიცხული მფლობელობაში, ხოლო 3320 კვ.მ. 2004 წელს. რაც შეეხება მისი, როგორც უფლებამოსილი პირის, სტატუსი დადგენილ იქნა განცხადებაზე თანდართული მისი პირადობის მოწმობის, დაბადების მოწმობის, ასევე, მამამისის – მ. ე-ძის გარდაცვალების მოწმობით, საიდანაც დგინდებოდა მისი სავარაუდო მემკვიდრეობის ფაქტი. ამდენად, კომისიას არანაირი საფუძველი არ ჰქონდა სამკვიდრო მოწმობის გაყალბების და მის საფუძველზე მფლობელობის სავარაუდო არარსებობის მიზეზით გაუქმებინა მისი უფლების აღიარების გადაწყვეტილება. რაც შეეხება ქ. ე-ძეს, სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, იგი დავობს მხოლოდ 1660 კვ.მ მიწის ნაკვეთზე თავის უფლებაზე, რაც არ შეეხება 1478 კვ.მ მიწის ნაკვეთს, რომელიც 1986 წლიდან აღრიცხული იყო მ. ე-ძის მფლობელობაში, ხოლო მასზე არსებულ სახლთმფლობელობაზე არსებობს საბინაო წიგნი, სადაც ქ. ე-ძე არ ფიგურირებს. ამდენად, სასამართლოს 1478 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში არ უნდა შეეჩერებინა საქმისწარმოება და არსებითად უნდა გადაეწყვიტა დავა.

კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ აღნიშნულ საქმეში წარმოდგენილი წერილების მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის კავშირი განსახილველ საქმესთან არ იკვეთება და არ არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ სს საქმეზე შესაძლებელი გახდება განაჩენისა თუ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიხედვით, კონკრეტული პირი დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ გამოიკვეთება. ასევე ვერ დგინდება, გ. ე-ძის, ან მისი უფლების მიმართ, ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, ისეთი სამოქალაქო სამართლებრივი შედეგი დადგეს, რომლითაც ადმინისტრაციულ საქმეზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, რაიმე მტკიცებულება პრეიუდიციული მტკიცებულების ძალას შეიძენს. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არსებითი და გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭებინა იმ გარემოების გამორკვევისათვის, თუ რამდენად იძლეოდა სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ობიექტური მდგომარეობა ადმინისტრაციული დავის შეჩერების საფუძველს სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო შედეგის დადგომამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმებისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ე-ძის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სააპელაციო საჩივარზე ქ. თბილისის პროკურატურაში მიმდინარე ¹... სისხლის სამართლის საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისიის მიერ საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და თბილისის საკრებულოს მიერ გაცემული ¹696 საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმება, ქ. თბილისში, ბაგებში ... ¹15ა-ში მდებარე 4758 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. ქ. თბილისის პროკურატურაში აღმრული ¹... სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს აღნიშნულ მისამართზე 4758 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაკანონების კანონიერების დადგენის მიზნით. პალატამ მოცემული ადმინისტრაციული საქმის განხილვა შეუძლებლად მიიჩნია სარჩელის საგანთან დაკავშირებული დავის სისხლის სამართლის წესით საბოლოოდ განხილვამდე. აღნიშნული მოტივით, საფუძვლიანად მიიჩნია წინამდებარე დავაზე საქმის წარმოების შეჩერება.

როგორც საქმეზე თანდართული სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა ქ. თბილისის პროკურატურაში 2008 წლის 1 ივლისს დაიწყო გამოძიება ¹... სისხლის სამართლის საქმეზე სამკვიდრო მოწმობის გაყალბების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის I ნაწილით. წინამდებარე საქმეში წარდგენილი ქ. თბილისის პროკურატურის ¹გ05.03.2009/99 წერილით დგინდება, რომ ¹... სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია როგორც ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის იურიდიული განყოფილების თანამშრომლის, ასევე ფიზიკური პირების მიმართ. რაც შეეხება გ. ე-ძეს, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ამ ეტაპზე დაწყებული არ არის. ასევე, ქ. თბილისის პროკურატურის გ24.08.2009/22 წერილით დგინდება, რომ 2008 წლის 4 ნოემბერს საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია და საქმე 326-ე მუხლთან ერთად დაკვალიფიცირდა 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქმე შემდგომი გამოძიების მიზნით გამოსაძიებლად გადაიზარდა ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში. საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს ქ. თბილისში, ბაგებში, ... ¹15ა-ში მდებარე 4758 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაკანონებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება ¹71 სხდომის ოქმის 22-ე საკითხზე, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ამავე კომისიის 2008 წლის 30 მაისის ¹23 ოქმის მე-11 საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება მ. ე-ძის საკუთრების უფლების აღიარებისა და ქ. თბილისში, ბაგებში ... ¹15ა-ში მდებარე 4758 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ¹696 მოწმობის გაუქმების თაობაზე. კომისიის მხრიდან სადავო გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო ქ. თბილისის პროკურატურის ¹გ.08.12.2008/14 წერილი და მის მიერ მიჩენულ იქნა, რომ კომისიისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო წერილში აღწერილი გარემოებები მიღებულ იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებით უნდა დადგინდეს როგორც აქტის ფორმალური, ასევე, მისი მატერიალური კანონიერება, კერძოდ, კომისიის მიერ სადავო აქტით 2008 წლის 30 მაისის ¹23 ოქმის მე-11 საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებისა და მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების ¹696 მოწმობა გაუქმდა თუ არა კანონშესაბამისად. სისხლის სამართლის საქმის განხილვა გულისხმობს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლითაც უნდა დადასტურდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის დაკანონების კანონიერება. ეს გარემოებები განსახილველი ადმინისტრაციული საქმის მიმართ შემდგომში შეიძენენ პრეიუდიციულ ხასიათს და აღნიშნული დავის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება მათი შეფასებით.

კერძო საჩივრის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. ე-ძე პრეტენზიას აცხადებს 4758 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან მხოლოდ 1660 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რის გამოც სააპელაციო სასამარ-

თლოს 1478 კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით არ უნდა შეეჩერებინა საქმის წარმოება, უსაფუძვლოა და საკასაციო პალატა წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალებისა და ქ. თბილისის პროკურატურის წერილებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ აღძრული სისხლის სამართლის საქმე სრულად შეეხება ადმინისტრაციული საქმის დავის საგნის – 4758 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაკანონების კანონიერებას. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო ადასტურებს სისხლის სამართლის წესით საქმის განხილვამდე ადმინისტრაციული დავის რაიმე ნაწილში გადაწყვეტის, ან მათი ერთდროულად განხილვის შეუძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "დ" პუნქტის საფუძველზე, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული პუნქტის საფუძველზე სააპელაციო პალატის მიერ საქმის წარმოების შეჩერებისას, სწორად იქნა განსაზღვრული კავშირი მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სისხლის სამართლის წესით განიხილება, კერძოდ, ისინი გამომდინარეობს ერთი და იმავე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველებიდან და მათ ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ პრეიუდიციული მნიშვნელობა.

ყოველივე მითითებულის გათვალისწინებითა და ზემოაღნიშნული ორივე დავის სამართლებრივი საფუძვლების შეფასების შედეგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ მართებულად შეაჩერა საქმის წარმოება, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ე-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. დროებითი განჩინება

განჩინება

1ბ-2951-09

26 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს "...-ის" განცხადება დროებითი განჩინების გამოტანის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 20 ნოემბერს შპს "...-მა" განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას და დროებითი განჩინების გამოტანა მოითხოვა.

განცხადების ავტორი აღნიშნავს, რომ 2009 წლის 12 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა აპელანტების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სააპელაციო საჩივრები, ხოლო შპს "...-ს" უარი ეთქვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

განცხადების ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მას ჩაბარდა 2009 წლის 6 ნოემბერს, რომლის გასაჩივრების ვადა იჭურება 2009 წლის 6 დეკემბერს. შპს "... " არ ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებას და კანონმდებლობით დადგენილ ერთთვიან ვადაში აპირებს საკასაციო საჩივრის შეტანას საქართველოს უზენაეს სასამართლოში სააპელაციო სასამართლოს ხსენებულ გადაწყვეტილებაზე.

განცხადების ავტორი საკასაციო საჩივრის აღძვრის საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის ("დ" ქვეპუნქტი), 230-ე მუხლის, 176-ე მუხლის, ასევე, ბასს-ის ინტერპრეტაციების (კერძოდ კი იმკ-16-ის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების) და ბასს-ის 32.8, 32.16 პუნქტების თანახმად, საწარმოდან პარტნიორების მიერ შესატანის (უძრავი ქონების) უკან დაბრუნება საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით არ იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით, არ არის ერთობლივ შემოსავალში ჩასათვლელი, შესაბამისად, მოგების გადასახადით დასაბეგრი და არ წარმოადგენს დივიდენდს დამფუძნებელი პარტნიორებისათვის.

განცხადების ავტორის განმარტებით, მსგავს არგუმენტაციას იძლევა და ზემოაღნიშნულ საგადასახადო კოდექსის ნორმებს ანალოგიურად განმარტავენ, სხვა მსგავს საქმეზე, თბილისის სააპელაციო და უზენაესი სასამართლოები. სწორედ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით, საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

განცხადების ავტორი აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის ("დ" ქვეპუნქტი), 230-ე მუხლის და 176-ე მუხლის განმარტებისა და საწარმოდან პარტნიორის მიერ შესატანის უკან დაბრუნების დაბეგვრის რეჟიმის შესახებ, 2009 წლის 12 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საგადასახადო კოდექსის ნორმების სრული იგნორირებით და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიღო უკანონო გადაწყვეტილება შპს "...-ის" საქმეზე. სააპელაციო სასამართლომ საჩივარი განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. სასამართლოს მიერ აღნიშნული საპროცესო ნორმების დარღვევა კი საბოლოოდ უკანონო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად და ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა მთელი რიგი სამართლის ნორმები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლი ("დ" ქვეპუნქტი), 230-ე მუხლი, 176-ე მუხლი, ასევე ბასს-ის ინტერპრეტაციების (კერძოდ, იმკ-16-ის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები) და ბასს-ის 32.8, 32.16 პუნქტები, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. ამასთან, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილი და 175-ე მუხლი. აღნიშნულის გარდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" და "ე¹" ქვეპუნქტების თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმდენად არასრული და იურიდიულად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადების ავტორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ იქნა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე და საქმეზე მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

განცხადების ავტორის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია, დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. განცხადების ავტორმა იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 22 ივლისისა და 2009 წლის 5 ნოემ-

ბრის ბრძანებების საფუძველზე ყადაღა დაედო შპს "...-ის" საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (მდებარე, ქ. თბილისში, ...-ში).

აღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადების ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ საგადასახადო ორგანო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლის საფუძველზე, ღია აუქციონზე გაიტანს და მოახდენს შპს "...-ის" კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაციას. საგადასახადო ორგანოს მიერ შპს "...-ის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში კი, მას ხელი შეეშლება უფლების განხორციელებაში და ამ უფლების რეალიზაცია მნიშვნელოვნად გართულდება. უფლების რეალიზაციის შეზღუდვა და ხელის შეშლა კი იმაში გამოიხატება, რომ, თუ საგადასახადო ორგანო დავის გადაწყვეტამდე, გაასხვისებს შპს "...-ის" კუთვნილ უძრავ ქონებას, იგი დაკარგავს საკუთრების უფლებას მის კუთვნილ უძრავ ნივთზე. აღნიშნული კი, თავისთავად ხელს შეუშლის მას თავისი უფლების რეალიზაციაში და საერთოდ შეუძლებელი შეიქმნება მის სასარგებლოდ მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.

განცხადების ავტორი ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, შპს "...-ისათვის" დროებითი განჩინების გამოტანის მიზანს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ სასამართლოს მიერ დროებითი განჩინების მიღებით, შპს "...-ის" დავის გადაწყვეტამდე შეინარჩუნებს არსებულ მდგომარეობას, კერძოდ, საკუთრების უფლებას უძრავ ქონებაზე (მდებარე, ქ. თბილისში, ...-ში). ყოველივე აღნიშნული კი დაიცავს შპს "...-ის" მისი კუთვნილი დაყადაღებული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციისაგან საგადასახადო ორგანოს მიერ, დავის საგანზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადების ავტორმა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, დროებითი განჩინების გამოტანა და დავის საბოლოო გადაწყვეტამდე თბილისის საგადასახადო ინსპექციისათვის (რეგიონალური ცენტრი) ქ. თბილისში, ...-ში მდებარე შპს "...-ის" კუთვნილი უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის აკრძალვა მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს "...-ის" განცხადება დროებითი განჩინების გამოტანის თაობაზე და მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული განცხადება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია, დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძველების გამო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით (დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ) ითვალისწინებს მხარის უფლებას სარჩელის აღძვრამდე, ან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რათა დავის საგანთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინება ასევე გამოიყენება სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან სხვა საფუძველების გამო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ. ამასთან, ხსენებული მუხლის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია უფლების დროებითი დაცვა ამავე კოდექსის 29-ე მუხლის

საფუძველზე, ანუ როდესაც შეუძლებელია ამკრძალავი (შემზღუდველი) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელის შეტანა სასამართლოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დროებითი განჩინების მიღების მოთხოვნის თაობაზე განცხადების დასაშვებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სარჩელის სახე. თუ დაინტერესებულ პირს შეუძლია აღძრას სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, ან უკვე აღძრულია შეცვლების სარჩელი, რომლის დროსაც უფლების დროებითი დაცვა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე, დაუშვებელია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული მექანიზმის გამოყენება. ამდენად, დაინტერესებული მხარის უფლება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვოს დროებითი განჩინების მიღება, გამომდინარეობს მისი უფლებიდან _ აღძრას სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საგან თავის შეკავების მოთხოვნით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, ქმედების განხორციელების მოთხოვნით ან აღძრას აღიარებითი სარჩელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს "...“ სასარჩელო განცხადებით ითხოვს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 16 იანვრის 129 საგადასახადო მოთხოვნის, 2008 წლის 14 იანვრის 1დ/9 ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 29 აპრილის 1855 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 11 სექტემბრის 105-04/8519 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ანუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრულია შეცვლების სარჩელი, ამ შემთხვევაში დაუშვებელია საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინების გამოტანა, რის გამოც შპს "...-ის“ განცხადება დროებითი განჩინების გამოტანის თაობაზე დაუშვებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 31-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "...-ის“ განცხადება დროებითი განჩინების გამოტანის თაობაზე დაუშვებლად იქნეს ცნობილი;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.